მერაქი

№14 (9 874)
27 აპრილი–4 მაისი 2019 წელი
ფასი: 50 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა

გამოდის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

ქრისტე აღდგა! გილოცავთ!

გვ. 3

საგანგაშო სტატისტიკა



გვ. 6

ვაკანსია!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიაში გამოცხადდა გამარტივებული კონკურსი შემდეგ ვაკანტურ თანამდებობაზე:

შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - ევროკავშირის მიერ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი გრანტის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის „ბიოსფერული რეზერვატის, როგორც ადგილობრივ დონეზე ინკლუზიური და მდგრადი ზრდის მოდელის შექმნა“ - პროექტის მენეჯერი.

განცხადებების რეგისტრაცია სწარმოებს ელექტრონულად, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებ. გვერდზე www.hr.gov.ge

განცხადების რეგისტრაციის ბოლო ვადა მიმდინარე წლის 03 მაისის ჩათვლით.

C M Y K

ირაკლი შიოლაშვილის და სიღნაღის მერის იაპონიაში ვიზიტი დასრულდა

16-22 აპრილს სიღნაღი-დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი შიოლაშვილი, სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გოგილაშვილი და მერის მოადგილე თეიმურაზ ბალარჯიშვილი იაპონიას სამუშაო ვიზიტის ფარგლებში ეწვივნენ. კახეთიდან ჩასული დელეგაცია იაპონიაში ერთი კვირის განმავლობაში იმყოფებოდა და ამ პერიოდში ქართული ღვინის პოპულარიზაციის კუთხით, ასევე, შემდგომი მეგობრობის და თანამშრომლობის მიზნით მრავალი შეხვედრა გაიმართა.

იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში მიმდინარე გამოფენა „საქართველო — ღვინის სამშობლოს“ ფარგლებში, იაპონიაში ერთადერთმა ღვინის მაგისტრმა, კენიჩი ოჰაშიმ ქართული ღვინის პრეზენტაცია იაპონელი ღვინის პროფესიონალებისთვის გამართა. ღონისძიებას 120-მდე სტუმარი, ადგილობრივი ღვინის ექსპერტები, იაპონიის სომელიეთა ასოციაციის წევრები, სარესტორნო და სავაჭრო ქსელების წარმომადგენლები დაესწრნენ, რომელთაც კენიჩი ოჰაში 3 საათის განმავლობაში ქართული ღვინოსა და მის კულტურას აცნობდა.

კენიჩი ოჰაშიმ სტუმრებს უამბო, რომ ქვევრი იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობაა, ქართული ქვევრის ღვინის წარმოება 8000 წლის წინ დაიწყო და ღვინის წარმოების ქართული მეთოდი უნიკალურია მთელს მსოფლიოში. ღვინის მაგისტრმა ქართული ვაზის ჯიშების მრავალფეროვნებაზე გაამახვილა ყურადღება, რაც მისი აზრით, ასევე განაპირობებს ქართული ღვინის გემოვნურ თვისებებსა და განუმეორებლობას.

პროექტი „საქართველო — ღვინის სამშობლო“, რომლის ორგანიზატორები ღვინის ეროვნული სააგენტო და ასოციაცია „ქართული ღვინო“ არიან, ხორციელდება მსოფლიოში უმსხვილესი კომპანიის შონყ მუსიც ცომმუნიკატიონ და კომპანია TOPPAN-თან პარტნიორობით.

17 აპრილს, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ღვინის კომპანიების გამოფენას, სადაც საქართველოს პავილიონიც იყო განთავსებული, „ვაინ ენდ გურმეს“ გახსნას დაესწრნენ. შემდეგ შეხვედრა გამოფენის ორგანიზატორთან, კომპანია „კოლენმესე კაპანის“ პრეზიდენტთან გენიჩიო მიაზაკისთან და მენეჯმენტის დირექტორთან მატიას კუპერთან გაიმართა. შეხვედრისას იაპონიის მხრიდან გაჩნდა სურვილი, რომ ივლისის თვეში დაიგეგმოს მათი ვიზიტი საქართველოში. ამავე დღეს შედგა შეხვედრა საქართველოს ელჩის მოვალეობის შემსრულებელთან იაპონიაში, არჩილ მაჭავარიანთან და ასევე, ცნობილ სუმოისტ ლევან ცაგურიასთან, რომელსაც ქართული ღვინის პავილიონში წარმოდგენილი ჰქონდა საკთარი ქვევრის ღვინო სახელწოდებთ „კოკაი“.

აღსანიშნავია, რომ გამოფენაზე საგანგებოდ დელეგაციის სანახავად მივიდა იოკაჰამას სიმფონიეტას გენერალური მენეჯერი ტოშიკი უსუი, რომელმაც გასულ წელს იაპონიის ელჩის და საელჩოს თაოსნობით სიღნაღში უფასო კონცერტი გამართა.

18 აპრილს, ვიზიტის ფარგლებში, ხელისუფლების წარმომადგენლებმა სამუშაო შეხვედრები გამართეს იამანაშის პრეფექტურის კაცუნომას მეღვინეობის გაერთიანების ოფისში. მათ მოინახულეს ღვინის ქარხანა, სადაც ჰქონდათ საქართველოდან ჩატანილი ქართული ქვევრი. იაპონელი მეღვინეები დიდი ინტერესს გამოხატავენ ქვევრის ღვინის მიმართ და უახლოეს მომავალში აპირებენ ამ ტექნოლოგიის მოსინჯვას აღნიშნულ ქარხანაში. მათ გამოთქვევს სურვილი ეწვიონ საქართველოს, კახეთს და კერძოდ ქიზიყს და ადგილზე ნახონ ქვევრში ღვინის დაყენების მეთოდი.

ამავე დღეს, მნიშვნელოვანი შეხვედრა გაიმართა ასევე, იამანაშის პრეფექტურის ქალაქ კოშუს მერთან, აცუში ტანაბესთან, რაც იაპონიის ცნობილი ტელეარხის NHK Japon-ის მიერ გაშუქდა. იამანაშის პრეფექტურა გამოირჩევა ღვინის და ხილის წარმოებით.

ეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს საქართველოსა და იაპონიის, კერძოდ, იამანაშის პრეფექტურის მუნიციპალიტეტებსა და სიღნაღის მუნიციპალიტეტის ურთიერთობების განვითარების შემდგომი პერსპექტივები, რაც გულისხმობს მუნიციპალიტეტების დამეგობრებას, მევენახეობის, ქვევრის ღვინის პოპულარიზაციას, კულტურული და ტურისტული პროექტების განხორციელებას, რომელიც ორივე მხარის მეგობრობას და ურთიერთობას გააღრმავებს. საინტერესო გამოდგა შეხვედრა იამანაშის პრეფექტურის მთავრობის ტურიზმის დეპარტამენტის დირექტორთან მიჩიჰირო ნაკატასთან, სადაც საუბარი შეეხო კახეთთან ტურიზმის კუთხით შემდგომ თანამშრომლობას.

19 აპრილს დელეგაციამ მოინახულა ქალაქ ტოკიოში გახსნილი გამოფენა - „საქართველო ღვინის სამშობლოა“. 20 აპრილს კი ქართულმა დელეგაციამ იაპონიის ღირსშესანიშნაობები დაათვალიერა. 21 აპრილს შეხვედრები შედგა იაპონიაში საქართველოს საელჩოს თანამშრომლებთან.

ჰესიდან- დაპირისპირებამდე

„ალაზანი ჩვენი ხერხემალია! ალაზანი, თუ წაგვართვეს, აღარ გვეცხოვრება!“ - ამ ერთ წინადადებამდე დაიყვანება პანკისის ხეობის მთელი მოსახლეობის გულისტკივილი და პოზიცია. ალაზანის, როგორც სასმელი და სარწყავი წყლის დაკარგვის შიში უჭიდგეთთ მათ მოქმედებისკენ და არაფერი სხვა, მათ შორის არც რელიგიური, არც ეთნიკური ან სხვა სახის პრობლემები.

პანკისის ხეობაში საპოლიციო ძალები რჩებიან. ალაზანზე ჰესის მშენებლობა შეჩერდა. მოსახლეობა კი ისევ დიდ გაურკვევლობაშია და ელოდება, დაკავებენ თუ არა იმ პანკისელებს, ვინც ინციდენტში მონაწილეობდნენ. მათი თქმით, თუკი შს მინისტრის, გიორგი გახარიას ერთგვარი მუქარა შესრულდება და ადამიანების დაპატიმრება დაიწყება, ეს ადგილობრივებს უფრო გააღიზიანებს და ვითარება უფრო გამწვავდება. პანკისელების განცხადებით, ისინი აქ არც ჰესის მშენებლობას დაუშვებენ და არც - თანასოფლელების დაკავებას.

პანკისის ხეობაში 21 აპრილს მოსახლეობასა და პოლიციას შორის დაპირისპირების შემდეგ, 24 აპრილს მოსახლეობამ ხეობაში საგანგებო თათბირი ჩაატარა. ადგილობრივების თქმით, ხეობა ერთსულოვანია და დაძაბულობა არავის სურს. თათბირზე მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით, სახალხო კრება დაწერს ტექსტს. კრება პანკისის ყველა სოფლიდან სამ-სამი წარმომადგენლით დაკომპლექტდება. დაძაბულობის ასაცილებლად მთავრობის სახელზე განცხადებით გამოვლენ, სადაც ხეობაში პოლიციელებთან მომხდარი დაპირისპირების საქმეზე მოსალოდნელი დაკავების შესახებ იქნება საუბარი. ასევე, ხეობაში 21 აპრილს განვითარებული მოვლენების შემდეგ დროებითი საგუშაგოების მონტაჟი დაიწყო. სოფელ ძიბახევის ტერიტორია, სადაც ორი დღის წინ სპეცრაზმელებსა და ადგილობრივებს შორის დაპირისპირება მოხდა, ახლა ყვითელი ლენტით არის შემოსაზღვრული და იქ 50-მდე პოლიციელი იმყოფება.

“სტრატეგიული კვლევების კავკასიური ცენტრის” ხელმძღვანელი მამუკა არეშიძის შეფასებით, კვირას ჩვენ ვიხილეთ სერიოზული შეცდომების მთელი წყება და ახლა საჭიროა პრობლემების ლიკვიდაცია. ხელისუფლებების პანკისის ხეობის მიმართ სულ ერთი და იგივე შეცდომებს უშვებენ, არ ითვალისწინებენ ადგილობრივ სპეციფიკას. ეს არის რეგიონი, სადაც დაძაბულობის შექმნით დაინტერესებულია არა ერთი ძალა საქართველოს გარეთ და ამისთვის წლებია მუშაობენ. ხეობაში ჰყავთ გავლენის ფიგურები, რომლებსაც პატარა უთანხმოების შემთხვევაში შეუძლიათ სიტუაცია არეონ,”- ამბობს არეშიძე.

მისი თქმით, ვიღაცამ ეს პროვოკაცია მოაწყო. „უფრო სწორად, სიტუაციას ასდის პროვოკაციის სუნი, ვიღაცამ მოინდომა, რომ ხელისუფლება და სახელმწიფო ყოფილიყო დისკრედიტირებული, ვინ, არ ვიცი. ამიტომ პრობლემის ლიკვიდაციაა საჭირო. ახლა ჰესის აშენებაზე ლაპარაკი ზედმეტია, საჭიროა პრობლემის ძირისძირეულად შესწავლა. ხალხის დაპატიმრებით არაფერი გამოსწორდება. ის, რაც მოხდა პოლიციის წინააღმდეგ, ეს იყო ძალიან ცუდი, მაგრამ ამას უნდა შევხედოთ სახელმწიფოებრივი პოზიციიდან და პრობლემის ლიკვიდაცია უნდა დავიწყოთ,”- დასძენს არეშიძე. კვირას, სოფელ ძიბახევთან პოლიციასა და ადგილობრივებს შორის დიდი შეტაკება მოხდა. სპეცრაზმმა რეზინის ტყვიები და ცრემლსადენი გაზი გამოიყენა. ადგილობრივებმა - ხელკეტები და ქვები. დაშავდა 55 ადამიანი, 38 პოლიციელი და 17 მოქალაქე. თელავის რეფერალურ საავადმყოფოშია ამჟამად მოთავსებული შსს-ს 15 თანამშრომელი. გამოძიება დაწყებულია სს ორი მუხლით - პოლიციელზე თავდასხმისა და ცეცხლის წაკიდებით ნივთის დაზიანების გამო. ხეობაში ჩასულმა შს მინისტრმა გიორგი გახარიამ განაცხადა, რომ თუკი მოსახლეობის 90% არ იქნება ჰესის მშენებლობაზე თანახმა, ჰესი არ აშენდება. ასევე გახარიამ განაცხადა, რომ ყველა ის ადამიანი, ვინც შს სამინისტროს თანამშრომლებზე იძალადა, კანონის სრული პასუხისმგებლობით აგებს პასუხს. მისი თქმით, თითოეულ ვიდეოკადრს გაანალიზებენ და ნახავენ, ვინ ვის რა ესროლა. სწორედ გახარიას ამ განცხადების გამოა პანკისში დაჭერების ახალი მოლოდინი და გაღიზიანება.

მოსახლეობა აცხადებს, რომ ხელისუფლებამ უარი უნდა თქვას კონფლიქტში მონაწილე ადგილობრივების დაკავებაზე, რადგან მოსახლეობის აგრესია და პროვოცირება სპეცრაზმის შემოსვლამ გამოიწვია. ადგილობრივების თქმით, თუ პოლიციამ დაკავებების სერია დაიწყო, პანკისელები კიდევ ერთხელ გამოვლენ ქუჩაში, ამჯერად საკუთარი თანასოფლელების დასაცავად. „მოსახლეობა არის ძალიან უკმაყოფილო, დაკავებების შემთხვევაში უფრო გაიზრდება ადამიანების გაღიზიანება და შესაძლოა, ისევ ცუდ შედეგებამდე მიგვიყვანოს,” - აცხადებს ერთ-ერთი ადგილობრივი შენგელი ტოხოსაშვილი. მისივე თქმით, პანკისის ხეობაში განვითარებული მოვლენები მიზანმიმართული პროვოკაცია იყო მოსახლეობის მიმართ. ხეობის მკვიდრი, ლეილა აჭიშვილის თქმით, ხელისუფლება თავის ხალხს არ უნდა ელაპარაკებოდეს ტყვიების და გაზის ენით. „რა დავაშავეთ ჩვენ, რატომ გახდა საჭირო სპეცრაზმის შემოყვანა. ბევრჯერ აღვნიშნე, რომ ძალიან ნაკლებად აქვს კომუნიკაცია ხელისუფლებას ხალხთან”,- ამბობს აჭიშვილი. სპეცრაზმის შეყვანას დიდ შეცდომად მიიჩნევენ ხეობის უხუცესებიც, რომლებიც ჰესის მშენებლობას მხარს უჭერდნენ. ხელისუფლებას ისინიც მოუწოდებენ, რომ ხალხთან დიალოგი დაიწყოს.

უხუცესთა საბჭოს წევრი ხასო ხანგოშვილი ამბობს, რომ პანკისის ხეობაში მცხოვრებლებზე სპეცრაზმი ნეგატიურ დამოკიდებულებას იწვევს და კვირას განვითარებული მოვლენების გამო, ვინც პანკისში ჰესის მშენებლობის მომხრე იყო, ახლა ისიც დუმს, რადგან საკითხი ასე დადგა: ვინც ჰესების მშენებლობის მომხრეა, ის ხალხის მტერია. ხანგოშვილი დარწმუნებულია, რომ პანკისის ხეობაში, განვითარებული მოვლენების შემდეგ, ჰესები აღარ აშენდება და ამიტომ პროტესტის გაგრძელების საჭიროება აღარ დადგება.

ადგილობრივები ამბობენ, რომ პანკისის ხეობაში მომხდარი დაპირისპირების შემდეგ, არც ერთი ადგილობრივი ჯერჯერობით სამართალდამცველებს დაკითხვაზე არ დაუბარებიათ. გამოძიება დაწყებულია, თუმცა პანკისელები ამბობენ, რომ საქმეში მხოლოდ სპეცრაზმელებისა და პოლიციის ჩვენებები დევს. ადგილობრივების შეფასებით, დაპირისპირება სამართალდამცველებთან მათთვის პროტესტის მისაღები ფორმა არ არის, თუმცა, თუ პოლიცია მათ დაკავებას დაიწყებს, მაშინ სანქციები მთელი სოფლის მოსახლეობაზე უნდა გავრცელდეს, რადგან წინააღმდეგობა სპეცრაზმს ყველა მცხოვრებმა გაუწია.

პანკისის უხუცესთა კავშირის თავმჯდომარის ზელიმხან წუწაშვილის ინფორმაციით, მათ არ უთქვამთ, რომ ხეობაში ჰესის აშენების მომხრეები არიან. არ ყოფილა მოსახლეობის სრული თანხმობა და გაუგებარია, რატომ მიიღეს გადაწყვეტილება და ან ვინ მიაწოდა მცდარი ინფორმაცია, რომ თითქოს ხეობაში ვინმე მშენებლობას ეთანხმებოდა. “ხეობის არც ერთ მოსახლეს არ უთქვამს, რომ თანახმანი არიან. თანხმობის არც ერთი სიტყვა არ არის ამოსული პირიდან. რასაც გვაბრალებენ, ჩემთვის ეს უცნობია. ჩვენ ზოგიერთი ხალხი ბრალს გვდებს, ვითომ ჩვენ ვართ ამაში დამნაშავე, ჩვენ შევაცდინეთ ხალხი, რომ ვითომ ჩვენ ვართ თანახმა, აშენდეს ჰესი. ამისთვისაც გვინდა, ხალხს შევხვდეთ. სამოქმედო გეგმაზე იქნება საუბარი, კომპრომისი იყოს, მოლაპარაკება ჩატარდეს და იყოს მშვიდობა. არეულობა არ გვინდა. არეულობას უნდა ვერიდოთ”, - განაცხადა ზელიმხან წუწაშვილმა. კომპანია “ფერის” დირექტორი ლაშა იორდანიშვილი ამბობს, რომ ჰესის ასაშენებლად ყველა საჭირო პროცედურა გავლილი აქვთ და მშენებლობა უნდა გაგრძელდეს. იგი არასწორი ინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებს იმ ჯგუფებს, რომლებიც ჰესის მშენებლობის შემდეგ რეგიონში შესაძლო საფრთხეებზე საუბრობენ. “ჩვენ ვართ შოკირებული ამ მოვლენებიდან გამომდინარე. ძალიან მძიმე დღეები გადავიარეთ, მოგეხსენებათ. მე არ მიმაჩნია, რომ ეს არის ჩვენი ინვესტორი კომპანიის გადასაწყვეტი, როგორ გაგრძელდეს იქ მოლაპარაკება იქნება, ჰესის საერთოდ გაჩერება იქნება, გაგრძელება იქნება თუ როგორ იქნება”, - აცხადებს ლაშა იორდანიშვილი, რომლის თქმით, “ეს იქნება ალბათ ერთიანი პოზიცია სახელმწიფოსი”.

ხეობის მცხოვრებთ „ხადორი 3“-ის მშენებლობა იმ მიზეზით არ სურთ, რომ ჰესი გაანადგურებს ბუნებას და სასმელი და სარწყავი წყლის გარეშე დატოვებს. თავის მხრივ, ჰესის მშენებელი კომპანიის, „ფერის“ გენერალურმა დირექტორმა, ლაშა იორდანიშვილმა 24 აპრილს, თბილისში გამართულ პრესკონფერენციაზე კვლავ გაიმეორა, რომ „ხადორი 3“ დერივაციული ელექტროსადგურია, არ გააჩნია სათავე ნაგებობა, არ ხდება მდინარის გადაკეტვა, კერძო საკუთრების დაზიანება და არც ერთი კვადრატული მეტრის დატბორვა.

ქრისტე აღდგა! გილოცავთ!

ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა! - ასე ესალმებიან ერთმანეთს ქრისტიანები აღდგომას. ჩვენი მაცხოვრის, იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა უდიდესია ქრისტიანულ დღესასწაულთა შორის. ეს არის ცოდვაზე გამარჯვების ზეიმი. აღდგომას წინ უძღვის სააღდგომო მარხვა, რომელიც სულიერად გვამზადებს ამ უდიდეს დღესასწაულთან შესახვედრად.

აღდგომა მოძრავი დღესასწაულია. წელს მართლმადიდებლურ სამყაროში წამებული იესოს მკვდრეთით აღდგომას ქრისტიანები 28 აპრილს ულოცავენ ერთმანეთს.

იესოს ჯვარცმის შემდეგ ორმა დღემ გაიარა. მესამე დღეს კი უნდა აღსრულებულიყო ქრისტეს წინასწარმეტყველება: ***"მესამე დღეს მკვდრეთით აღვდგები".*** კვირა დღეს, გამთენიისას საფლავის დარაჯებმა მიწისძვრა იგრძნეს. მერე ანგელოზი დაინახეს, რომელმაც საფლავიდან ლოდი გადააგორა. ბოლოს იხილეს მაცხოვრის საფლავიდან აღდგომა. შიშით თავზარი დაეცათ და როდესაც გონს მოეგნენ, გაიქცნენ.

ჯერ გათენებული არ იყო, როცა მარიამ მაგდალინელი, სალომე და სხვები საფლავთან მიდიოდნენ, რათა იესოს სხეულისთვის ნელსაცხებელი ეცხოთ, რაც დამარხვის დროს ვერ მოასწრეს. ქრისტეზე მგლოვიარე მარიამმა როცა დაინახა გადაგორებული ლოდი და ცარიელი საფლავი, იფიქრა, რომ ქრისტეს სხეული მტრებმა წაიღეს. დაიჩოქა და მწარედ ატირდა.

მაშინ ორი ანგელოზი იხილა. მათ მაგდალინელს ტირილის მიზეზი ჰკითხეს. მარიამმა უთხრა, რომ უფალზე ტიროდა. ეს რომ თქვა, უკან მკვდრეთით აღმდგარი უფალი იესო ქრისტე დაინახა. მარიამი ვერაფერს მიხვდა, ეგონა, მებაღეაო. მაშინ იესომ უწინდელი ხმით დაუძახა: „მარიამ!" მარიამმა მაშინვე იცნო ხმაზე იესო. გაექანა, უნდოდა მუხლებზე მოჰხვეოდა, მაგრამ იესომ მას შეხების უფლება არ მისცა. გაგზავნა თავის ძმებთან და დააბარა, რომ ეთქვა: „აღვალ მამისა ჩემისა და მამისა თქვენისა, ღვთისა ჩემისა და ღვთისა თქვენისა თანა". მარიამმა სასწრაფოდ ახარა იესოს აღდგომა იოანე და პეტრე მოციქულებს. მათ მიირბინეს მაცხოვრის საფლავთან და ნახეს, რომ ის ტილო, რომელშიც მაცხოვრის სხეული იყო გახვეული, ცალკე იდო, ხოლო სუდარა - ცალკე. იოანემ დაიჯერა, პეტრეს კი უკვირდა ეს ამბავი.

იესო ქრისტე ორმოცი დღის განმავლობაში არაერთხელ გამოეცხადა მოწაფეებს. იგი მოციქულებს ღვთის სასუფეველზე ესაუბრებოდა. აჩვენა ჯვარცმიდან დარჩენილი წყლულები, რომლებიც სხეულზე ჰქონდა დარჩენილი და რამდენიმე სასწაული. ამის შემდეგ კი ქრისტეს აღდგომა მათაც იწამეს, რომელთაც ეს მანამდე არ სჯეროდათ. იესომ წმიდა სისხლით გამოგვისყიდა ცოდვისა და სიკვდილის მონებისგან.

აღდგომის დღესასწაულს მრავალი ტრადიცია უკავშირდება. მათ შორის არის კვერცხების წითლად შეღებვის ჩვეულება. ეს ტრადიცია წითელ პარასკევს, ანუ ქრისტეს ჯვარცმის დღეს უკავშირდება. როდესაც მარიამ მაგდალინელი იმპერატორს წარუდგინეს, მან ქვეყნის მმართველს სიმბოლურად კვერცხი გადასცა და ქრისტეს აღდგომა ახარა. იმპერატორს ამის გაგონებაზე გაეცინა და თქვა, რომ ამის დაჯერება ისეთივე რთული იქნებოდა, როგორც ის, რომ ეს კვერცხი გაწითლდებოდა. მას ჯერ სიტყვა არ დაესრულებინა და კვერცხი ჯერ გავარდისფრდა, ბოლოს კი გაწითლდა. მარიამმა იმპერატორს ისიც აუწყა, რომ კვერცხი სიცოცხლის სიმბოლოა, წითელი კვერცხი — მაცხოვრის აღდგომისა. ეს გახდა დასაბამი იმისა, რომ ქრისტიანებს უფლის აღდგომა ერთმანეთისთვის წითელი კვერცხებით მიელოცათ.

ლარნაკებში დათესილი ხორბალი და მწვანე ჯეჯილზე გაგორებული წითელი კვერცხები სიკვდილის ძლევის სიმბოლოა. სააღდგომო სუფრა მრავალფეროვანი უნდა იყოს. ამ დღისთვის გამომცხვარი პასქა მაცხოვარს გვახსენებს, რომელიც ამბობს: *„მე ვარ პური ზეცით გარდამოსული".*

ქრისტე აღდგა!

აღდგომა და სააღდგომო ტრადიციები საქართველოში

ქრისტიანთა უმთავრესი რელიგიური დღესასწაული – ქრისტეს გრწყინვალე აღდგომა, მიუხედავად იმისა, რომ მოძრავია, ყოველთვის გაზაფხულს ემთხვევა. საქართველოში აღდგომა განსაკუთრებული ზარ-ზეიმით აღინიშნება.

აღდგომა – უმთავრესი დღესასწაული თორმეტ საუფლო დღესასწაულს შორის. ამ დღეს ქრისტე მკვდრეთით აღდგა და ადამიანები პირველქმნილი ცოდვისგან დაიხსნა. მხოლოდ ამის შემდეგ გაიღო ადამიანთათვის სამოთხის ბჭე. ადამის მოდგმის მხსნელად მოვლენილმა მაცხოვარმა გოლგოთას მთაზე ჯვართან ერთად კაცობრიობის ცოდვა ზიდა. ამ დღეს ღამის 00:00 საათიდან საქართველოს ყველა ეკლესიაში საზეიმო წირვა-ლოცვა იწყება, რომელიც დილამდე გრძელდება. ქრისტიანები ერთმანეთს სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების დღეს ულოცავენ სიტყვებით „ქრისტე აღდგა! – ჭეშმარიტად აღდგა!"

ამ დღეს ყველა ოჯახში სადღესასწაულო სუფრა იშლება და ყველა სახლის კარი ღიაა სტუმრისთვის. ადამიანები უდიდესი სიხარულით აღნიშნავენ მაცხოვრის აღდგომას.

მომდევნო დღეს, ორშაბათს საქართველოში საფლავებზე გასვლა, გარდაცვლილების მოხსენიება და საფლავზე წითელი კვერცხების გადაგორებაა მიღებული.

აღდგომის კვირისთავი, ანუ მომდევნო კვირა დღე, ხალხური რწმენით, ყველაზე ბედნიერად მიიჩნევა ჯვრისწერისთვის.

სააღდგომო სუფრა

როგორც ვთქვით, ამ დღეს ყველა ოჯახში იშლება სადღესასწაულო სუფრა, რომელიც საქართველოში განსაკუთრებული სიუხვითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

მწვანე ჯეჯილზე დალაგებული აუცილებელი წითელი კვერცხებისა და პასკის გარდა, მაგიდას ხორცისა და თევზისგან დამზადებული, სანელებლებით შეკმაზული კერძები, სალათები, საწებლები, ხაჭაპურები, ლობიანები და უამრავი სხვა ნუგბარი ამშვენებს. სიცოცხლის სადიდებელი ამ დღეს საქართველოში წითელი ღვინით ისმება – ესეც ქრისტეს სისხლის სიმბოლოდ.

სააღდგომო ტრადიციები

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აღდგომა სხვადასხვანაირად აღინიშნებოდა. ამ ტრადიციათაგან ბევრი დღემდეა შემორჩენილი.

მაგალითად, **ყაზბეგში**, სოფელ სნოში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს—პატრიარქის ილია მეორის სამშობლოში, ამ დღეს ახალგაზრდა ვაჟთა მშვილდ-ისრებიანი ჯგუფი იკრიბებოდა, რომელსაც სოფლისთვის პატივსაცემი უფროსი ასაკის მამაკაცი ხელმძღვანელობდა. ჯგუფი მთელ სოფელს მოივლიდა და აუცილებლად სოფლის მცხოვრებთა ყველა ეზოში შევიდოდა. ჭიშკართან ჯგუფის უფროსი ხმამაღლა იძახდა „ქრისტე აღდგა!" რასაც ახალგაზრდები ჩვეული ქრისტიანული წესით ერთდროულად პასუხობდნენ – „ჭეშმარიტად!" მოსულთ ოჯახის წევრებიც გამოეგებებოდნენ პასუხით „ჭეშმარიტად! ჭეშმარიტად! შეგეწიასთ იმისი მადლი თქვენცა და მთელს თქვენს ხევსა!" ამის შემდეგ ოჯახის დიასახლისს შესაწირი გამოჰქონდა – წინასწარ შეღებილი სააღდგომო კვერცხი, რომელსაც ეზოს შუაგულში მწკრივად აწყობდნენ ოჯახის წევრთა სადღეგრძელოდ და ხმამაღლა იძახდნენ, ვის სახელზეც იდებოდა კვერცხი. პირველ შესაწირს მოხევეები ოჯახიდან შორს მყოფთათვის და მოგზაურთა სადღეგრძელოდ დებდნენ. მწკრივში დალაგებულ კვერცხს ახალგაზრდები, უფროსის მიერ დადგენილი რიგის მიხედვით, მონაცვლეობით ესროდნენ ისრებს, მანამ, სანამ ყველა მათგანს არ მოხვდებოდა ისარი. ბედნიერად ითვლებოდა ის, ვის სახელზე დადებული კვერცხიც პირველად გატყდებოდა. ხშირად შესაწირში კვერცხთან ერთად მოხევეები სხვადასხვა საჭმელს და ფულსაც დებდნენ. დღის ბოლოს მოგროვილით საერთო საზეიმო ტრაპეზი იმართებოდა, ფული კი აუცილებლად სოფლის სასარგებლო საქმეს ხმარდებოდა.

საინტერესო რიტუალი ჰქონდათ ჩვენს წინაპრებს **სამეგრელოში**. აღდგომა დღეს განსაკუთრებული ქვევრის, ლაგვანის თავზე ბატკანს ან გოჭს კლავდნენ და ყველისა და კვერცხის პურის კვერებს აცხობდნენ. ოჯახის უფროსი დილიდანვე მარხულობდა, წყალს არ დალევდა და არც თამბაქოს მოწევდა. შუადღისას ხონჩაზე დააწყობდა ღორის გულ-ღვიძლს, მამლის თავს, კვერებს, საზედაშე ღვინოსა და ამ ყველაფერს საღმრთო საოხორო ქვევრის თავზე დაალაგებდა, მერე იმ ქვევრს თავს მოხდიდა და დაილოცებოდა.

სააღდგომო ტრადიციებს შორის გამორჩეული იყო ჭონა, რომელიც თავისი არსითა და ფორმით ძალიან ჰგავს ალილოს. აღდგომა დღეს რამდენიმე კაცი, რომელთაც მეჭონეებს ეძახდნენ, მთელ სოფელს ჩამოუვლიდა და სააღდგომო სიმღერით დღესასწაულს ულოცავდა, დიასახლისი კი მათ კვერცხებით, ტკბილი კვერებით, ხილითა და ფულითაც ასაჩუქრებდა. დღის ბოლოს შეგროვილ ხორაგს მთელი სოფლის ახალგაზრდობა შემოუსხდებოდა და ილხენდა.

რაჭაში აღდგომა დილით, წირვიდან დაბრუნების შემდეგ პურის ფაფას აკეთებდნენ, თონეში ლავაშებს აცხობდნენ. წირვის შემდეგ მღვდელი თითოეულ ოჯახს ჩამოუვლიდა და აკურთხებდა. ახალი მიცვალებულის პატრონი სააღდგომოდ ცხვარს კლავდა, ცხვრის თავ-ფეხს, ბარკალს, ლავაშს, შეკეცილს ლანგარზე დააწყობდა და მღვდელს შინ მიართმევდა. აღდგომის მეორე დღეს „გიორგონთობას" ზეიმობდნენ. აცხობდნენ ლობიანებს, შეკეცილებს, ბოხჩუანებს, იხარშებოდა ხორცი და იყო დიდი სმა-ქეიფი.

გურიაში აღდგომის დღესასწაულზე ტრადიციული ლელო იმართებოდა. 16-კილოგრამიან ტყავის ბურთს სილითა და ნახერხით ავსებდნენ და აგუნას წვენს ასხამდნენ. აგუნა უძველესი წარმართული რიტუალიდან გადმოსული ღვინის დღესასწაულია, რომელიც დღეს უკვე მივიწყებულია. აგუნა შავი ღვინის, თაფლის, ბროწეულის წვენისა და კიდევ ერთი უცნობი ინგრედიენტის ნაზავია, რომელსაც მცირე რაოდენობით მოთამაშეებსაც ასმევდნენ ძალისა და სიმხნევის მოსამატებლად.

კახეთში სააღდგომოდ ბატკანს კლავდნენ, ახალი მიცვალებულის პატრონები სასაფლაოზე გადიოდნენ და კვერცხს აგორებდნენ. სახლში აუცილებლად უნდა დაეკლათ ღორი. იშლებოდა დიდი სუფრა, მეზობლები ერთმანეთს ეპატიჟებოდნენ და ქეიფობდნენ. აცხობდნენ უხაშო კაკანტელებს და ხალხში არიგებდნენ.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს ახალი სპორტული ინვენტარი გადაეცა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ა (ა) იპ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა ცენტრში იმყოფებოდა და სპორტული ინვენტარი დაათვალიერა, რომელიც ბავშვთა ფეხბურთის განვითარების ფონდმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს საჩუქრად გადმოსცა.

ნიკოლოზ ჯანიაშვილმა განაცხადა, რომ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა ცენტრმა მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით წელს კიკ ბოქსინგისა და უშუ სანდასთვის ტატამიც შეიძინა. სპორტის ეს სახეობები დედოფლისწყაროში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია და რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო ტურნირზე არაერთმა დედოფლისწყაროელმა ისახელა თავი.

გარემოს დაცვა ყველას ვალია!

დედამიწის დღესთან დაკავშირებით ელიის მიმდებარე ტერიტორიაზე დასუფთავების აქცია გაიმართა.

აქციაში მონაწილეობა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მერიისა და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა ცენტრისა და თანამშრომლებთან, ასევე მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებთან, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან ერთად მიიღო.

მუნიციპალიტეტის მერმა მედიის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, რომ ადგილობრივი ხელისუფლება მუნიციპალიტეტის სისუფთავეზე ყოველთვის აქტიურად ზრუნავს და მსგავსი ღონისძიებები მომავალშიც გაგრძელდება.

დედამიწის დღეს მსოფლიო გარემოს დაცვითი ღონისძიებებით 1970 წლიდან აღნიშნავს.

ევროპის იმუნიზაციის კვირეული

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) ევროპის რეგიონულმა ბიურომ 2019 წლის 24 - 30 აპრილი ევროპის იმუნიზაციის კვირეულად გამოაცხადა. საქართველო 2007 წლიდან აქტიურად მონაწილეობს იმუნიზაციის კვირეულში და ახორციელებს სხვადასხვა სახის ფართომასშტაბიან საკომუნიკაციო ღონისძიებებს.

ხედვა და მიზანი

ევროპის იმუნიზაციის კვირეულის მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება იმუნიზაციის მნიშვნელობის შესახებ ადამიანის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის. კვირეულის განმავლობაში კიდევ ერთხელ მოხდება იმუნიზაციის აქტუალობის შეხსენება და ინფორმაციის მინოდება მოსახლეობის, მედიის, ჯანდაცვის სისტემის სპეციალისტების, პოლიტიკოსების და სხვადასხვა დაინტერესებული მხარეებისათვის.

ძალზე მნიშვნელოვანია იმუნიზაციის მიმართ ძლიერი პოლიტიკური მხარდაჭერის შენარჩუნება, რათა თავიდან ავიცილოთ ვაქცინით მართვადი გადამდები დაავადებების აღმოცენების და გავრცელების რისკი.

საქართველო აქტიურად არის ჩართული ევროპის რეგიონული სამოქმედო გეგმის (EVAჯ, 2015-2020) განხორციელების პროცესში. გეგმის შესაბამისად ევროპის რეგიონი უნდა გათავისუფლდეს მართვადი ინფექციებისაგან, ყველა ქვეყანას უნდა ჰქონდეს წვდომა მაღალი ხარისხის, უსაფრთხო, ხელმისაწვდომი ფასის ვაქცინებთან და ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, მოსახლეობას -თანასწორი და უნივერსალური იმუნიზაციით მომსახურებასთან მთელი სიცოცხლის მანძილზე.

2015 - 2020 წლებისათვის ევროპის რეგიონული სამოქმედო გეგმის მიზნებია:

პოლიომიელიტისგან თავისუფალი სტატუსის შენარჩუნება;

ჰეპატიტი B-ს ინფექციის კონტროლი;

ვაქცინაციით მოცვის სამიზნე მაჩვენებლების მიღწევა რეგიონის წევრ—ქვეყნებში ყველა ადმინისტრაციული ერთეულის დონეზე;

მტკიცებულებებზე დამყარებული გადაწყვეტილებების მიღება ახალი ვაქცინების დანერგვის მიზნით;

წითელასა და წითურას ელიმინაცია;

იმუნიზაციის ეროვნული პროგრამების ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა.

იმუნიზაციის პროგრამა საქართველოში

საქართველოში ბავშვთა და მოზარდთა გეგმიური იმუნიზაცია ხორციელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კანონისა და პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის შესაბამისად (სშჯსდ მინისტრის ბრძანება №01-57/ნ 19.11.2015წ). იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამა სრულად უზრუნველყოფს ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული ვაქცინების შესყიდვას და 12 დაავადების (ტუბერკულოზი, B ჰეპატიტი, დიფთერია, ყივანახველა, ტეტანუსი, პოლიომიელიტი, ჰემოფილუს ინფლუენცა ტიპი ბ, წითელა, წითურა, ყბაყურა, როტავირუსული და პნევმოკოკური ინფექციები) საწინააღმდეგო ვაქცინაციის დაფინანსებას საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში.

იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში პროფილაქტიკური აცრების ეროვნულ კალენდარში 2000 წლიდან დღემდე დაინერგა 7 ახალი ვაქცინა. საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის მიზნით, 2019 წლიდან ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე დაიწყება 9-11 წლის გოგონების ადამიანის პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ორჯერადი ვაქცინაცია.

ვაქცინების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო შეისყიდის მხოლოდ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჟჩჯ) მიერ პრეკვალიფიცირებულ ვაქცინებს.

მსოფლიოში იმუნიზაციის პროგრამების ფართომასშტაბიანი განხორციელების შედეგად მკვეთრად შემცირდა ვაქცინაციით მართვადი ინფექციებით ავადობა და სიკვდილიანობა.

მიუხედავად წარმატებებისა, საჭიროა უფრო მეტის გაკეთება, რადგან

- მსოფლიოში ყოველწლიურად 3 მილიონზე მეტი ადამიანი იღუპება ვაქცინებით მართვადი ინფექციებისაგან, აქედან 1,5 მილიონი 5 წლამდე ასაკის ბავშვია;
- ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, 2019 წლის პირველ სამ თვეში, 170 ქვეყანაში დაფიქსირდა წითელას 112 163 შემთხვევა, მაშინ როდესაც 2018 წლის იგივე პერიოდში დარეგისტრირებული იყო 28 124 შემთხვევა 163 ქვეყანაში, რაც ნიშნავს რომ მსოფლიოში დაახლოებით 300%-ით გაიზარდა წითელას შემთხვევები.

წითელა

საქართველოში 2018 წელს დაფიქსირდა წითელას 2200-მდე შემთხვევა, მათ შორის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში 3 .შემთხვევების 10% მოდის 1 წლამდე ასაკის ბავშვებზე, ხოლო 62% - 14 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობაზე.

2019 წელს დღემდე დარეგისტრირებულია 3000-ზე მეტი შემთხვევა,მათ შორის დედოფლისწყაროში 40 შემთხვევა. შემთხვევების 12% მოდის 1 წლამდე ასაკის ბავშვებზე, ხოლო 63% - 14 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობაზე.

ქვეყანაში მიმდინარე ეპიდაფეთქებასთან დაკავშირებით, წითელას და წითურას მასიური გავრცელების პრევენციისა და გლობალური ელიმინაციის სტრატეგიით განსაზღვრული ღონისძიებების განსახორციელებლად, სახელმწიფო უზრუნველყოფს წითელას და წითურას საწინააღმდეგო დამატებით იმუნოპროფილაქტიკას წწყ ვაქცინით. საქართველოს მთავრობის განკარგულების (№16, 18.01.2019) „წითელას მასიური გავრცელების პრევენციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ფარგლებში მიმდინარეობს არასრულად აცრილი ან აუცრელი პირების წითელას საწინააღმდეგო ვაქცინაცია. აღნიშნული ღონისძიებების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შესყიდული იქნა 250 000 დოზაწწყ ვაქცინა და აიცრა 120 000 ადამიანი. წითელას საწინააღმდეგო დამატებითი ვაქცინაციის პროცესი გაგრძელდება 2019 წლის ბოლომდე.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში წითელას გავრცელების პრევენციის მიზნით დ/წყაროს მუნიციპალიტეტის მერის ნ.ჯანიაშვილის მხარდაჭერით შეიქმნა წითელას ეპიდ.აფეთქების მართვის საკოორდინაციო ჯგუფი ორგანიზაციის ხელმძღვანელების შემადგენლობით. ჯგუფს კორდინაციას უწევს საზ.ჯანმრთელობის ცენტრის ხელმძღვანელი მ.გონაშვილი. დ/წყაროს საზ.ჯანდაცვის ცენტრმა 2019წელს მიიღო და გადაანაწილა ამცრელ დაწესებულებაზე 1200 დოზა წითელა-წითურას-ყბაყურას საწინააღმდეგო ვაქცინა. დღეის მონაცემებით აცრილია 964 მოქალაქე.

აღსანიშნავია, რომ წითელასა და სხვა ვაქცინებით მართვადი დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დამტკიცდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციაური დაცვის მინისტრის ბრძანება (№01-6/ნ, 22.01.2019) „სავალდებულო პროფილაქტიკურ იმუნიზაციას დაქვემდებარებული საქმიანობათა ნუსხის დამტკიცების თაობაზე“.

დოკუმენტით განისაზღვრა იმუნიზაციის ვალდებულებები სამედიცინო, პენიტენციურ დაწესებულებებში, ვეტერინარიასა და გარემოს დაცვის სფეროებში მომუშავე პერსონალისთვის, ასევე, თავდაცვის, უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სამსახურის თანამშრომლებისა და საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების პედაგოგებისთვის. დადგინდა მოთხოვნები B ჰეპატიტის, გრიპის, წითელას, წითურას, ტეტანუსის, დიფთერიისა და ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაციასთან დაკავშირებით.

ბრძანების ამოქმედება ხელს შეუწყობს მოსახლეობაში იმუნური ფენის შექმნას და შედეგად, შეამცირებს გადამდები დაავადებების გარცელებას ქვეყანაში. გარდა ამისა, ხელს შეუწყობს ინფექციების კონტროლის ღონისძიებების წარმატებულად განხორციელებას სამედიცინო დაწესებულებებში და ბავშვთა ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნას საგანმანათლებლო - საალმზრდელო დაწესებულებებში.

ვაქცინაციის პროცესში სკოლამდელი აღზრდის და საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართულობის გაზრდის და შესაბამისად ვაქცინებით მართვადი დაავადებების გავრცელების რისკის მაქსიმალურად შემცირების უზრუნველსაყოფად, განხორციელდა ცვლილება ჯანმრთელობის შესახებ საქართველოს კანონში (01.01.2019) და განისაზღვრა სავალდებულო პროფილაქტიკური აცრების ჩამონათვალი. ახალი რეგულაციებიდან გამომდინარე, სავალდებულო გახდა სასწავლო/სააღმზრდელო პროცესის დაწყებისას იმუნიზაციის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა სასწავლო/სააღმზრდელო დაწესებულებებში.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, შეიქმნა პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის მობილური აპლიკაცია, რომლის საშუალებით მშობელს შესაძლებლობა ეძლევა მიიღოს ინფორმაცია როგორც საკუთარი, ასევე შვილის/შვილების აცრის სტატუსის, აცრების ჩატარების რეკომენდებული ასაკისა და ვაქცინაციით მართვადი დაავადებების შესახებ. მობილური აპლიკაციის ერთერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა მომავალი აცრების თარიღის შეხსენება და მათ შესახებ ინფორმაციის მიღება/ბეჭდვა მობილური ტელეფონის საშუალებით.

ძირითადი გზავნილები

წითელა ჯერ კიდევ რჩება ადრეული ასაკის ბავშვთა გარდაცვალების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს უსაფრთხო და ეფექტური ვაქცინა.

პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის შესაბამისად, წითელას საწინააღმდეგო ორჯერადი ვაქცინაცია ტარდება 12 თვის და 5 წლის ასაკში წითელა-წითურა-ყბაყურას საწინააღმდეგო ვაქცინით.

გახსოვდეთ, წითელა სიცოცხლისათვის საშიში დაავადებაა!

ვაქცინაცია წითელასგან დაცვის ერთადერთი საშუალებაა! შეაჩერე წითელას გავრცელება საქართველოში - არ გადადო, აიცერი!

ყველა ბავშვი იმსახურებს თანაბარ შესაძლებლობას იცხოვროს ჯანმრთელად, ვაქცინაცია კი ამ მიზნისკენ გადადგმული ნაბიჯებიდან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია.

გახსოვდეთ, რომ იმუნიზაცია ჩვენი შვილების ჯანმრთელობის გარანტია და აუცილებელია, ზუსტად დავიცვათ აცრების კალენდარი — სრულყოფილად და რაც მთავარია, დროულად ჩავუტაროთ აცრების კურსი! ამ შემთხვევაში ბავშვი დაცული იქნება იმ ინფექციური დაავადებებისგან, რომლის საწინააღმდეგოდაც ჩაუტარდა აცრები.

ექიმთან ერთი ვიზიტის დროს რამდენიმე აცრა ერთდროულად კეთდება. ეს ხელს უწყობს აცრების კურსის დროულად დამთავრებას, რაც თავის მხრივ ზრდის ვაქცინაციის ეფექტურობას.

ვაქცინა მუშაობს!
აცერი და დაიცავი!

დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

წიგნებს შეუძლიათ ჩვენი სულის გადარჩენა...

მრავალი სამყაროდან, რომელიც ადამიანმა ბუნებისგან საჩუქრად კი არ მიიღო, არამედ თავად შექმნა, ყველაზე დიდი წიგნის სამყაროა.

ჰერმან ჰესე

...„მისალოცი“, ხომ იცით, ჩემებურად რასაც ნიშნავს-ვისაც პირველად წაკითხვის მრავალი ბედნიერება წინა აქვს... ჩვენ ძლიერ გვიყვარს ლიტერატურა, და თქვენგან, მისალოცთაგან განსხვავებით... სიკვდილისაც ნაკლებად გვეშინია, რადგან მრავალჯერ მოვმკვდარვართ და ყველაფერი, აჰ, ყველაფერი გამოგვიცდია-მეფედ ვუკურთხევივართ, სიკეთისთვის ხის ხმლით გვიბრძვია, ხან დაფნა დაგვიდგამს თავზე, ხანაც-ეკალი, სქელი ხალიჩაც გაუშლიათ ჩვენს სავალ გზაზე. ყვავილ-მოყრილი და ნაკვერჩხლებზეც შიშველი ფეხისგულებით გვივლია...რა არ გადაგვხდენია და, ღმერთო ჩემო, სულ რომ არაფერი, რამდენი ქალი გვყვარებია...“ეს გურამ დოჩანაშვილია, რომლის ნაწარმოებიც „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“, ყველაზე კარგად ხატავს იმ ადამიანის შინაგან სამყაროს, ვისთვისაც წიგნი მთავარი ფასეულობაა. საქართველოში დღეს ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ წიგნმა თავისი ფუნქცია დაკარგა, რომ ის კომპიუტერმა ჩაანაცვლა. წიგნის პოპულარიზაციის მიზნით 23 აპრილი - წიგნის და საავტორო უფლებების დღედ გამოცხადდა.

ძველისძველი კატალონიური ტრადიცია ყოფილა: ერის მფარველი წმინდანის, წმინდა გიორგის სახელობის დღეს ბარსელონელები და ქალაქის ირგვლივ მცხოვრებნი ერთმანეთს ვარდებს ჩუქნიდნენ. ცხადია, იმ დღეს მებაღეებსა და ვარდების გამყიდველებს უამრავი მუშტარი ჰყავდათ. წიგნით მოვაჭრეთა გილდიას ეს ფაქტი ძალიან მოეწონა — როგორც ჩანს, ამ სფეროში მომუშავე ხალხი ყოველთვის განსაკუთრებით გონებაგახსნილი იყო, — და 1923 წლის 23 აპრილს, წმინდა გიორგისა და ვარდების სახალხო დღესასწაულზე, მათ კატალონიაში მცხოვრებლებს ვარდებთან ერთად წიგნებიც აჩუქეს.

თავის ინიციატივა გილდიამ ძალიან ლოგიკურად დაასაბუთა. ხომ არ იტყოდნენ, წიგნებს ვასაღებთო! ამიტომ გაიხსენეს, რომ 1616 წლის 23 აპრილი მიგელ სერვანტესის და უილიამ შექსპირის გარდაცვალების დღეცაა, და საერთოდაც ხომ შექსპირის გარდაცვალების დღის აღნიშვნა იოჰან ვოლფგანგ ფონ გოეთემ კიდევ 1771 წელს გადაწყვიტა! მოკლედ, წმინდა გიორგის კლასიკოსებიც შეუერთდნენ, და მალე საქმე იქამდე მივიდა, რომ თუ 23 აპრილს კატალონიელები დაახლოებით 4 მილიონ ვარდს ყიდულობდნენ, ამ მხარეში ყოველწლიურად გაყიდული წიგნების 10 პროცენტი 23 აპრილზე მოდიოდა.

1995 წელს კატალონიამ იუნესკოს თავის შესანიშნავი დღესასწაულის შესახებ მოახსენა, მის ინიციატივას გამომცემელთა საერთაშორისო ასოციაციაც შეუერთდა, და გენერალური კონფერენციის გადაწყვეტილებით, 23 აპრილი მსოფლიო წიგნის დღედ გამოცხადდა - **“წიგნის მიმართ პატივისცემის ნიშნად და ახალგაზრდებისათვის კითხვის შესაყვარებლად”**. იუნესკოს რეზოლუციაში ნათქვამია: “ვინაიდან წიგნი კაცობრიობის ისტორიაში ცოდნის გავრცელებისა და დაცვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია, 23 აპრილი ყოველწლიურად წიგნისა და საავტორო უფლებების დღედ ცხადდება”.

იუნესკოს გადაწყვეტილება მსოფლიომ დიდი ენთუზიაზმით მიიღო. განსაკუთრებით აქტიური ორი ქვეყანა გამოდგა: ნიდერლანდები, სადაც ამ დღესასწაულს “თეთრი წიგნის კვირეულით” აღნიშნავენ, და დიდი ბრიტანეთი, სადაც “წიგნის მსოფლიო დღე” დიდ დღესასწაულად იქცა. წიგნის დღეს ზეიმობენ ავსტრალიაში, კანადაში, ესპანეთში, საბერძნეთში, შვედეთში, იტალიაში, საფრანგეთში, შვეიცარიაში, სპილოს ძვლის სანაპიროზე, მოზამბიკში, პუერტო რიკოში, კუბაზე — სად აღარა... ბოლო წლებში კი “წიგნიერ” ქვეყნებს საქართველოც შეუერთდა.

მაგრამ წელს შეგვიძლია ამაყად განვაცხადოთ, რომ წიგნის საქმე საერო საქმედაა აღიარებული, და ავტორებს საქართველოშიც პატრონი გამოუჩნდათ.

ასე რომ, წიგნის დღე ჩვენც ვიზეიმეთ. წელს საქართველო წიგნის საერთაშორისო დღეს აქციით „აჩუქე წიგნი“ შეხვდა. ამ აქციის ორგანიზტორი ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კეკელიძეა:

“მსოფლიოს არაერთ ქვეყნაში არსებობს ერთი ძალიან ძვირფასი და თანაც ძალიან იაფი ტრადიცია - წიგნის ჩუქების დღე. სხვა ქვეყნებში რომც არ არსებობდეს, რატომაც არა - ჩვენ დავამკვიდრებდით. თუ დააკვირდებით, წიგნის ჩუქება ყველა საჩუქარს ერთად მოიცავს: ცოდნასაც და განცდასაც, სიხარულსაც და ტკივილის გაძლების სწავლასაც, ნივთს, ჩაფიქრებას, დაკვირვებას, ამ დაკვირვებით გაკვირვებას. წიგნი კაცობრიობის მეხსიერების ჯამია, ისეთივე გამოცდილება, როგორიც მე და შენ გვაქვს. და რაღაც აზრით, წინასწარი გამოცდილებაც ჩემთვის და შენთვის. ამიტომაც ვიფიქრე, რომ ეგებ ეს დღე 23 აპრილს დაგვენესებინა, წიგნისა და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღეს. ამ იდეას მე, ეროვნული ბიბლიოთეკა და “ანაგრამა” გთავაზობთ. მოიფიქრეთ, ვის აჩუქებთ წიგნს, რატომ და რას წაუწერდით.მოსაფიქრებლად მთელი თვე გაქვთ. მანამდე კი, ეს ამბავი მეგობრებს გაუზიარეთ, მონიშნეთ, გამოიწვიეთ, თანაც კომენტარებში თქვენი საჩუქრის ადრესატი შეგიძლიათ მონიშნოთ, თუ ამის საიდუმლოდ დატოვებას არ აპირებთ. აქამდე იყო ერთი ძალიან კარგი ინიციტიავა. მწერალ ჯაბა ზარქუასი, როცა ადამიანები ერთამენთს სხვადასხვაგან უტოვებდნენ წიგნებს. ამჯერად გვირჩევნია, ეს საჯარო მითითებით, სოციალური ქსელით გააკეთოთ, აქცია გარდამავალი რომ გახდეს”, - განაცხადა გიორგი კეკელიძემ.

წიგნის საერთაშორისო დღეს შეუერთდა დედოფლისწყაროც. „დედოფლისწყაროს ქალთა საბჭოს“ წევრებმა საგანმანათლებლო ცენტრ „სპექტრს“ საჩუქრად გადასცეს წიგნები საკუთარი ბიბლიოთეკიდან. „ეს არის სივრცე, სადაც ახალგაზრდები იყრიან თავს. იმედი გვაქვს, ჩვენს მიერ ნაჩუქარ ი წიგნები დაეხმარება მათ ცოდნის გაღრმავებაში და თვალსაწიერის გაფართოებაში“-აღნიშნეს აქციის ორგანიზატორებმა.

დედოფლისწყაროში ამ დღეს „აჩუქე წიგნის“ აქციას შეუერთდნენ მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკებიც.

1833 წელს იტონში საჯარო ბიბლიოთეკის გახსნისას, სერ ჯონ გერშელმა ასეთი სიტყვა წარმოთქვა: “შითხარი, რას სთავაზობ წასაკითხად შენს მკითხველს და გეტყვი, ვინა ხარ შენ.”ამდენად, გერშელი ყოველ ადამიანს, რომელსაც პრეტენზია აქვს სხვებს ურჩიოს, თუ რომელი წიგნები იკითხოს, ავალდებულებს, რომ გამოიჩინოს დიდი პასუხისმგებლობა, უპირველესად, თვითონ ჩაულრმავდეს ამა თუ იმ წიგნში გატარებულ აზრს და რჩევა ამის შემდეგ მისცეს მკითხველს. არც მე ვაძლევ, რა თქმა უნდა, თავს უფლებას, რომ ვინმეს კატეგორიულად მოვთხოვო წიგნის წაკითხვა, ან მითუმეტეს, “არწაკითხვა”, მაგრამ ხანდახან წამომცდება ხოლმე. ეს რჩევა არ არის, უფრო ემოციას შეიძლება მივაწეროთ, რომელიც წიგნის წაკითხვის შემდეგ გინდა მეგობარს გაუზიარო. თავს ითით ვიმშვიდებ, რომ ის წიგნი, რომელსაც მე “ვურჩევ” ადამიანს, ზედმეტი ნამდვილად არ იქნება არავისთვის. მე არც იმდენად თავხედი ვარ და არც იმდენად ბრძენი, რომ ვუთხრა ჩემს თანატოლებს, რომელი წიგნები შეცვლიან უკეთესობისკენ მათ ცხოვრებას, მადლობა ღმერთს, ასეთი მრჩევლები მრავლად არიან. მე მხოლოდ ერთისკენ შემიძლია მოვუწოდო მათ: “ერთადერთი რჩევა, რაც ერთმა ადამიანმა მეორეს წიგნის კითხვასთან დაკავშირებით შეიძლება მისცეს, არის ის, რომ ყური არ ათხოვოს, საერთოდ არანაირ რჩევას.” გაითვალისწინეთ ვირჯინია ვულფის ეს სიტყვები და იკითხეთ წიგნები “იდიოლოგიების ეპოქაში.” მათ (წიგნებს) შეუძლიათ ჩვენი სულის გადარჩენა.

ინგა შიოლაშვილი

„დედამიწის დღე“ საბათლოს სკოლაში...

საბათლო - სოფელი აღმოსავლეთ საქართველოში, ჩვენს მუნიციპალიტეტში მდებარეობს, მდინარე ალაზნის მარჯვენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 210 მეტრზე. იგი დედოფლისწყაროდან დაშორებულია 70 კილომეტრით.

სოფელი საბათლო ექვემდებარება საქართველოს საპატრიარქოს ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიას.

2014 წლის მონაცემებით აქ 391 ადამიანი ცხოვრობდა. ათეული წლებია, მოსახლეობის მეორე, სომხურენოვანი ნაწილი ქართველ მოსახლეობასთან შერეულად ცხოვრობს. მცხოვრები უმცირესობების წარმომადგენლები, როგორც წესი, თავისუფლად ლაპარაკობენ ქართულად. ჩვეულებრივ, მშობლიური ენა მათთვის განათლების და ურთიერთობის უპირატეს ენად გვევლინება, ხოლო ენის ფლობის ხარისხი ერთი ინდივიდის შემთხვევაში მეორისაგან ზოგჯერ განსხვავებულია. ენის უკეთ ცოდნის და პოლიტიკურ პროცესებში თუ მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში მეტი ინფორმირებულობის და აქტიურობის კუთხით, სოფელი არასოდეს რჩება (მიუხედავად ტერიტორიული სიშორისა) ყურადღების მიღმა მუნიციპალიტეტში მოქმედი პროექტების, სხვადასხვა ღონისძიებების თუ სხვა მნიშვნელოვანი აქტივობების კუთხით, წვდომა აქვს ყველაფერზე. ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, ინტენსიურად ტარდება სამუშაოები სკოლებთან და მათ პედაგოგებთან. დღეს მოგიყვებით საბათლოს საჯარო სკოლაში გამართულ ღონისძიებაზე და სკოლის მოწვეულ, ქართული ენის პედაგოგზეთამარ მანუჩარაშვილზე, რომელიც უკვე ხუთი წელია აქ ცხოვრობს და მუშაობს.

თამარ მანუჩარაშვილი: დავიბადე გურჯაანის რაიონში, სოფ ვაზისუბანში. დავამთავრე იაკობ გოგობაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ფილოლოგიის განხრით. საბათლოში ჩემი ყოფნა დაუგეგმავად მოხდა. პროექტში გამოცხადდა ვაკანსია. გავიარე საგნის ტესტირება, გასაუბრება და შემდეგ პროექტმა გამანაწილა საბათლოში. დღესდღეობით საბათლოს საჯარო სკოლაში ზოგადად არის მშვიდი, კეთილგანწყობილი და მეგობრული გარემო. ეს პროექტ-ღონისძიება დაიგეგმა ჩემს მიერ და ჩატარდა დირექციის და კერძოდ დირექტორის – ბატონ გენად ჩოვუშიანის მხარდაჭერით. ამისთვის კი დიდი მადლობა ყველას.

ბავშვებს შორის არის მეგობრული დამოკიდებულება და ამაში თითოეულ პედაგოგს დიდი წვლილი აქვს, სულ 65 მოსწავლე სწავლობს ჩვენს სკოლაში.

საკმაოდ ოპტიმისტური განწყობით ჩამოვედი და საბედნიეროდ, ასე გრძელდება უკვე 5 წელია. ვცდილობ, ბავშვებს ერთმანეთის მიმართ სიყვარული ჩავუნერგო, ვფიქრობ, რომ გამომდის, რადგან ძირითადად ამას მათი მხრიდან გაკეთებული საქმით ვხედავ . ისინი არიან ყველაზე მეგობრული და გამძლე ბავშვები.

რთულია ადაპტაცია გაიარო ასეთ შორ მანძილზე მყოფმა ოჯახისგან, მეგობრებისგან. ვერ გეტყვით, რომ ადვილი იყო, მაგრამ, ვფიქრობ, რომ შევძელი და სწორედ ამიტომ მინდა სამომავლოდ აქ დარჩენა, პროექტის გაგრძელება, რადგან ისევ ვგრძნობ საჭიროებას,რომ მათთან ვიყო.

ახლა კი იმ ღონისძიებაზე მოგიყვებით, რომელიც ჩავატარეთ 22 აპრილს „დედამიწის დღესთან“ დაკავშირებით. ეს იყო ძირითადად საინფორმაციო დატვირთვის მქონე აქტივობა და სკოლის დირექციის მხარდაჭერით ჩატარდა. ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ მოსწავლეები, რომლებმაც გვამცნეს, რომ ამ დღეს მსოფლიოს გარშემო იმართება გარემოს დაცვის მხარდასაჭერი ღონისძიებები. მათ ასევე გააცნეს დამსწრე საზოგადოებას ვიდეო რგოლები, სადაც ნაჩვენები იყო ის პრობლემები, რომელიც დღეს მსოფლიოს აწუხებს, ისინი შეეცადნენ, ნათლად დაენახვებინათ საზოგადოებისთვის, რა საფრთხის წინაშეა დღეს დედამიწა გარემოს დაბინძურებით. მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი სხვადასხვა აქტივობებში,რომლის მიზანი იყო „შევცვალოთ დედამიწა უკეთესობისკენ“. დედამიწის დღე პირველად 1970 წელს აღინიშნა.დღსდღეობით კი დედამიწის დღე მსოფლიოს მასშტაბითაა კოორდინირებული და ყოველწლიურად აღინიშნება193 მეტ ქვეყანაში. ღონისძიებას ვხელმძღვანელობდი მე, როგორც პროექტ „არაქართულენოვანი სკოლების პროფესიული მხარდაჭერის“ მასწავლებელი -გვიამბობს თამარი.

დასასრულს, შეუძლებელია მადლობა არ გადავუხადოთ დღეს საბათლოს საჯარო სკოლის მთელ პედაგოგიურ კოლექტივს და მათ შორის გამორჩეულად ორ ახალგაზრდა პედაგოგს -თამარ მანუჩარაშვილს და ნათია ფათალიშვილს,რომლებიც წლებია საბათლოში, ოჯახებიდან ძალიან შორს, პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად ეროვნულ-საკაცობრიო საქმეს ეწევიან, საქმეს, რომელიც დღეს შეიძლება გამოკვეთილად არ ჩანს, მაგრამ ფესვები ღრმად აქვს გადგმული მომავალში!

მოამზადა
ელზა ხარაშვილმა

საგანგაშო სტატისტიკა

რას ამბობს გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევა?

რომი, ძველი წელთაღრიცხვა, დიდებული ქალაქის დიდებული ცხოვრება. გაგიკვირდებათ და ადგილობრივი მოსახლეობა ფართოდ იყენებს ტყვიას. მისგან ამზადებენ წყალგამტარ მილებს, ჭურჭლეულს, იყენებენ მშენებლობაში. რომაელები დარწმუნებულები არიან, რომ, თუკი ღვინოს შეინახავენ ტყვიის ჭურჭელში, მისი გემო გაცილებით უკეთესი იქნება. ამ ლითონის ტოქსიკურობის შესახებ ეჭვიც კი არავის გასჩენია. ტყვია გროვდება ორგანიზმში და ამით დიდად ამცირებს მოქალაქეების სიცოცხლის ხანგრძლივობას.

თბილისი, 23 აპრილი. 2019 წელი. საქართველოში გამოკვლეული ბავშვების 41%-ის სისხლში ტყვიის შემცველობა ტოლია ან აღემატება 5 მკგ/დლ-ს (მიკროგრამი დეცილიტრზე), მათ შორის, ბავშვების 16%-ის სისხლში ტყვიის შემცველობა ტოლია ან აღემატება 10 მკგ/დლ-ს. ბავშვების 25%-ის სისხლში ტყვიის შემცველობა არის 5-დან 10 მკგ/დლ-მდე. ასეთია შედეგები ქვეყნის მასშტაბით წარმომადგენლობითი კვლევისა, რომელიც ძველ რომში, რომ ჩატარებულიყო გაცილებით მაღალ შედეგებს აჩვენებდა. ძველ რომსა და ჩვენს შორის ბევრმა კარგმა თუ ცუდმა წყალმა ჩაიარა. რეალურად, იმის ცოდნამ და გაცნობიებამ, რომ ტყვია ის არ არის, რაც კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი იმპერიის შვილებს ეგონათ, ვერაფერი შეცვალა. დღეს ის კვლავაც გამოწვევად რჩება.

რომელ კვლევაზეა საუბარი?

2018 წლის სექტემბრიდან დეკემბრამდე პერიოდში საქართველოში მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის (MICS) ფარგლებში, რომელიც შინამეურნეობების ყველაზე დიდი კვლევაა მსოფლიოში, პირველად ჩატარდა ტყვიის კომპონენტის კვლევა. ტყვიის დონის განსასაზღვრად, ვენური სისხლის სინჯები შეგროვდა 2-7 წლის 1578 ბავშვისგან საქართველოს მასშტაბით. ბავშვების კვლევაში ჩართვა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. სინჯები გაიგზავნა იტალიის ჯანმრთელობის ეროვნულ ინსტიტუტში (ISS), რომელიც ევროპის წამყვან საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ინსტიტუტს წარმოადგენს. ტყვიის შემცველობაზე სისხლის ნიმუშის კვლევისას გამოყენებული იყო ინდუქციურად შეწყვილებული პლაზმის მას-სპექტრომეტრი (ICP MS), რომელიც ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ აღიარებულ ერთ-ერთი საუკეთესო სტანდარტია. ტყვიის მინიმალური, ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო კონცენტრაცია ადამიანის ორგანიზმში არ არის დადგენილი. თუმცა, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა და აშშ დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების რეკომენდაციების შესაბამისად, საჭიროა დაიგეგმოს სხვადასხვა მასშტაბის საზოგადოებრივი ჯანდაცვითი ღონისძიებები, როდესაც ვენურ სისხლში ტყვიის შემცველობა ტოლია ან აღემატება 5 მკგ/დლ-ს.

„კვლევის ჩატარებაში, გაეროს ბავშვთა ფონდი, ცხრა დონორ ორგანიზაციასთან ერთად, დაეხმარა საქართველოს მთავრობას, კერძოდ, სტატისტიკის ეროვნულ სამსახურსა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს, რომლის მიზანიც პრობლემის მასშტაბების განსაზღვრა იყო. ჩვენ ვაფასებთ საქართველოს მთავრობის მიერ პრობლემის მიმართ გამოჩენილ ყურადღებას და მთავრობის მზაობას, შეიმუშავოს რეაგირების მოკლე და გრძელვადიანი სტრატეგიები და ღონისძიებები. შემდეგი ნაბიჯი ტყვიის ზემოქმედების წყაროების კვლევა უნდა იყოს“, - განაცხადა გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლის მოადგილემ გოტ-ფრიდ ჰანემ.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, ბავშვებში სისხლში ტყვიის შემცველობით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აჭარის რეგიონში ფიქსირდება. დანარჩენ რეგიონებზე კი შედეგები ასეთია:

სისხლში ტყვიის შემცველობა ტოლია ან აღემატება 5 მკგ/დლ-ს:

აჭარა - 85%
გურია-73%
თბილისი - 30%
იმერეთი - 61%
კახეთი - 25%
მცხეთა-მთიანეთი - 20%
სამეგრელო, ზემო სვანეთი - 71%
სამცხე-ჯავახეთი - 32%
ქვემო ქართლი - 18%
შიდა ქართლი - 21%
სულ: 41%

ბავშვებში სისხლში ტყვიის შემცველობა ტოლია ან აღემატება 10 მკგ/დლ-ს:

აჭარა - 50%
გურია - 44%
თბილისი - 7%
იმერეთი - 23%
კახეთი - 4%
მცხეთა-მთიანეთი - 6%
სამეგრელო, ზემო სვანეთი - 29%
სამცხე-ჯავახეთი - 12%
ქვემო ქართლი - 6%
შიდა ქართლი - 4 %
სულ: 16 %.

ჯანდაცვის მინისტრი კვლევას საგანგაშოს არ უწოდებს. მისი თქმით, საქართველო იმ ქვეყნების რიგშია, რომლებიც პრობლემის არსებობას აღიარებენ, რაც იმასაც ნიშნავს, რომ პრობლემის მოსაგვარებლად შესაბამისი ღონისძიებების გატარება დაიგეგმება.

„პანიკის საფუძველი ნამდვილად არ არის. კი ბატონო, გასაგებია, რისი ფორმალიზაციაც მოხდა, ახლა რას აპირებს სახელმწიფო, რა უნდა გააკეთოს,რომ საკითხი მოგვარდეს? 16 ბავშვი, რომელთა მონაცემები კვლევის ჩატარებამდე წინასწარ ვიცოდით, რომლებსაც 30-ზე უფრო მაღალი ჰქონდათ, მათთან უკვე ჩატარებული არის განმეორებითი კვლევები, რაც საერთაშორისო პროტოკოლით არის ჩატარებული. პოზიტიური სიახლე არის ის, რომ ეს 16 ბავშვი კლინიკურად არის ჯანმრთელი,“-განაცხადა მინისტრმა **ლევან სერგეენკომ.**

ამ მიმართულებით საქართველოს მთავრობის მიერ უკვე გადადგმულია პირველი პრაქტიკული ნაბიჯებიც: 2018 წლის 29 დეკემბერს დამტკიცდა გარემოსა და ჯანმრთელობის ეროვნული გეგმა (NEHAP); 2019 წლის 19 აპრილს გამოიცა საქართველოს მთავრობის განკარგულება „ბავშვებში ტყვიის ტოქსიკური ზემოქმედების ადრეული გამოვლენისა და მართვის ღონისძიებების შესახებ“; მომზადებულია ცვლილება „2019 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №693 დადგენილებაში ტყვიის კომპონენტის გათვალისწინებით; დამტკიცდა ბავშვებში ტყვიის ტოქსიკური ზემოქმედების ადრეული გამოვლენისა და მართვის კლინიკური პროტოკოლი; გარდა ამისა, მთავრობა მუშაობს ტყვიის ტოქსიკური ზემოქმედების აღმოფხვრის ყოვლისმომცველ სახელმწიფო პროგრამაზე, რომელიც ითვალისწინებს ტყვიით დაბინძურების წყაროების კვლევას; მოკლე, საშუალო და გრძელვადიან ღონისძიებებს ტყვიით დაბინძურებული ადგილების განეიტრალების, იზოლაციისა და მართვის მიზნით; საბაზრო მიმოქცევაში ტყვიით დაბინძურებული პროდუქტების მოხვედრის პრევენციას და საზოგადოების ინფორმირებისკენ მიმართულ საინფორმაციო კამპანიებს. მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა საქართველოში ჩაატარა სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გაეროს ბავშვთა ფონდისა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისა და იტალიის ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტის (ISS) ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით. კვლევის მხარდაჭერას ასევე უზრუნველყოფდნენ: შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო (SIDA), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების საagენტო (USAID), საფრანგეთის განვითარების სააგენტო (AFD), შვეიცარიის განვითარების თანამშრომლობის საagენტო (SDC), გაეროს მოსახლეობის



ფონდი (UNFPA), გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია (WHO) და მსოფლიო ბანკი.

კითხვაზე, თუ როგორი მკურნალობა ენიშნებათ იმ პაციენტებს, რომლებსაც სისხლში ტყვიის მაღალი შემცველობა აქვთ, ექიმები პასუხობენ, რომ ტყვიით ინტოქსიკაციის დროს ინიშნება გამომძევებელი თერაპია. ეს იმ შემთხვევაში, თუკი ძალიან მაღალია მისი შემცველობა და აშკარად გამოხატულია სიმპტომები. გამომძევებელი თერაპია ყოველთვის არ სჭირდება პაციენტს, ის მხოლოდ იმ შემთხვევაშია საჭირო, თუ არის მძიმე მოწამვლა. ეს საკითხი ტოქსიკოლოგთან ერთად უნდა გადაწყდეს და მხოლოდ ამის შემდეგ ტარდება ტყვიაზე მკურნალობა. მკურნალობის დროს პაციენტი იღებს სპეციალურ ნივთიერებებს, ამიტომ მკურნალობა პირველ ეტაპზე კლინიკაში უნდა მოხდეს, შემდეგ კი პაციენტს შეუძლია, სახლშიც გააგრძელოს მკურნალობა. მკურნალობა ინდივიდუალურად განისაზღვრება. ჯანმრთელობისთვის საზიანო ტყვიის რაოდენობად სამედიცინო სფეროს წარმომდგანლები, დაახლოებით 50-დან 150 მიკროგრამს განსაზღვრავენ დეცილიტრზე. აქ საუბარია იმ შემთხვევაზე, როცა კლინიკური გამოვლინებებია, ანუ: პაციენტი მივარდნილია, ადინამიურია, არის რეანიმაციაში. თუმცა, პრაქტიკაში ასეთი შემთხვევები ნაკლებია. ექიმები აღნიშნავენ, რომ ორგანიზმიდან ტყვიის გამომძევებელი თერაპია უფრო ცუდია, ვიდრე მისი მაღალი შემცველობა სისხლში. უმჯობესია, ეს პროცესი კვებით დარეგულირდეს. რეალურად კი, ტყვიის განსაზღვრის მიზანი ტყვიით ინტოქსიკაციის წყაროს აღმოჩენაა, თუ საიდან ხდება მისი ქრონიკული მოწოდება. კვლევა იმიტომ კეთდება, რომ სახელმწიფომ მიიღოს შესაბამისი ზომები ტყვიის შემცველი პროდუქტების რეალიზაციაზე და აღარ მოხდეს ტყვიით დაბინძურებული მასალების იმპორტი ქვეყანაში. ტყვიაზე კვლევას მაშინ აქვს აზრი, თუ ტოქსიკაციის წყარო აღმოიფხვრება. გარდა ტოქსიკური წყაროს აღმოფხვრისა, ბავშვის და თუნდაც მოზარდის ორგანიზმში ყურადღება უნდა მიექცეს რკინისა და კალიუმის ნორმას, რადგან, თუ მათი რაოდენობა ორგანიზმში ნორმის დონეზეა, ტყვია აღარ შეიწოვება. ეს განსაკურებით უნდა მოხდეს ბავშვებში, რადგან ბავშვის ორგანიზმი უფრო ლაბილურია და უფრო ადვილად ზიანდება ნერვული სისტემა. დღეს საქართველოში სისხლის სპეციალური ანალიზის ჩატარების ფასი **78 ლარიდან 130 ლარამდე** მერყეობს. უმეტეს შემთხვევაში ეს ანალიზი კომპლექსურია და მოიცავს ტყვიის, მანგანუმისა და თუთიის რაოდენობის გაგებას ადამიანის ორგანიზმში. ანალიზები საზღვარგარეთ იგზავნება და პასუხის გაგება შესაძლებელია 10 სამუშაო დღეში.



ტყვია მსოფლიოს პრობლემაა. აშშ-ში, 80-იან წლებში ჩატარებული კვლევების მიხედვით, მოსახლეობის 88 პროცენტს ორგანიზმში ტყვიის მაღალი შემცველობა ჰქონდა. თუმცა, 2010 წელს ჩატარებულმა კვლევებმა იმავე პაციენტებში 0,88 პროცენტი აჩვენა. ეს შედეგი აშშ-ის მთავრობის პოლიტიკამ მოიტანა, რომლის მიხედვითაც, შემცირდა ტყვიის შემცველი ნაწარმის რეალიზება, სამშენებლო მტვერი, მასალები, საღებავები, ძველი ავტომობილები, გაჩნდა ნორმალური ბენზინი. სასურველია, რომ მსგავსი გამოცდილება გაიზიაროს ჩვენმა ქვეყანამაც, თუკი გვინდა, რომ ბავშვთა და, არამარტო მათი, სრულიად მოსახლეობის ჯანმრთელობა არ იყოს რისკის ქვეშ. რადგან ცნობილია, რომ ბავშვთა ჯანმრთელობისათვის მავნეა ტყვიის ნებისმიერი დონის ექსპოზიცია, როგორც მუცლად ყოფნის პერიოდში, ასევე დაბადების შემდგომ. რაც შეეხება მის წყაროებს, ტყვია გვხდება საღებავში, რომლებსაც საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის იყენებენ, ჰაერში, ნიადაგსა და რიგ შემთხვევაში - საკვებშიც. მთავარია, გვესმოდეს პრობლემის არსი და ის, თუ რა გვითხრა რეალურად გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევამ. საინტერესოა, რამდენად უსაფრთხო გვგონია საცხოვრებელი გარემო და რამდენად ვცდებით ყოველი ახალი კვლევის გამოქვეყნების შემდეგ.

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

გოგია ჯანაშვილი

5 წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან. არც დიდი დროა და არც მცირე. მეხუთედ ვხვდებით უშენოდ აღდგომის დღესასწაულს. ჯერ კიდევ მოგვდევს ის ტკივილი, რაც შენი გარდაცვალებით მივიღეთ. თავზარი დაგვცა შენმა უეცარმა სიკვდილმა. რვა ათეულ წელზე მეტი იცოცხლე და ამ ხნის განმავლობაში წამალი არ დაგილევია. შენ ხომ იქ გაგიჩერდა გული, სადაც ყოფნა გიყვარდა, სადაც გული მიგიხაროდა, ღამეც კი რჩებოდი. ბევრს შრომობდი, არ ისვენებდი, ჩვენო დაუღალავო, უაღრესად კეთილო, მშრომელო, ოჯახის ერთგულო, ძალიან გვაკლიხარ, გვენატრები, გვეამაყები. დღე არ გავა, რომ არ გაგიხსენოთ და შესანდობარი არ შევსვათ . დიდი და პატარა შენს სიკეთეზე ლაპარაკობს. შენგან ნაწყენი ადამიანი ჯერ არ შეგვხვედრია. შენს შვილიშვილებს ხშირად ესიზმრები. ამბობენ, რომ პაპას ძალიან გახარებულს ვხედავთო.

ჩვენო ძვირფასო, მოვალთ შენს საფლავზე, აგინთებთ წმინდა სანთელს და მოგილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს და დაგიმკვიდროს სასუფეველი.

შენი მეუღლე მერი,
შვილები: ნათელა, ნიაზი, სოსო ჯანაშვილები; **სიძე** ჯემალი, **შვილიშვილები**: ალიკა და მამუკა ჯანყარაშვილები.

ქრისტინე ბოსტაშვილი

დედა, 2 წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან, მაგრამ არ განელებულა ის გულისტკივილი, რაც დედის დაკარგვას მოაქვს. ვიკრიბებით ჩვენს ოჯახში, სადაც მთელი ბავშვობა და ახალგაზრდობა გავატარეთ, მაგრამ აღარ არის ის სიხარული, სითბო, რომლითაც შენ ავსებდი ჩვენს ოჯახს და კარ-მიდამოს.

დედა, გაზაფხულდა, ჩვენი ეზო გადაპენტილია ყვავილებით, მაგრამ შენი ხელი აკლია ყველაფერს ჩვენო მშრომელო, კეთილო, მოსიყვარულე დედავ და ბებიავ. ძალიან გვენატრები და გვაკლიხარ ყველას.

შენი შვილები ყველაფერს ვაკეთებთ შენი სულისთვის. 2 წლის თავზე მოვალთ შენს საფლავთან, მოგიტანთ ყვავილებს და დაგინთებთ წმინდა სანთლებს. ნათელში იყოს შენი სული.

შენი შვილები:
თამრიკო, ნათელა, გია ბოსტაშვილები ოჯახებით.

ელიოზა ყველაშვილი



ქრისტე აღსდგა, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავ! მძიმეა ჩემთვის ამის გაფიქრება, ცრემლებს ვერ ვიკავებ... მიჭირს იმაზე ფიქრი, რომ შენ ჩვენთან აღარ მოხვალ. დამიტოვე ცრემლიანი მოგონებები. დრო ვერ განკურნავს იმას, რასაც უშენობა ჰქვია. მწარედ მოსაგონებელი დამრჩა ტკბილად გატარებული ცხოვრება. ამბობენ, დრო მკურნალიაო, მაგრამ შენი სიკვდილის დღეს გაიყინა ჟამთასვლა. ძალიან ბევრი დამიგროვდა შენთან მოსაყოლი, მაგრამ ხმას ვერ გაწვდენ, მოვდივართ შენს საფლავთან, ქვაზე გაცოცხლებულ შენს სახეს ვუყურებთ. ჩაიწვება უამრავი სანთელი , დაილევა შენი ხსოვნის სადღეგრძელო, გული სადაცაა ამოვარდება საგულედან, დარდი ისევ დარდად რჩება, ვერაფერს გშველი...

მწარეა იმის გახსენება, თუ როგორი მოლხენა იცოდი, სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციების ერთგული იყავი. ენატრები მაკას, მარიამს, ხშირად გიხსენებენ. ყოველ ხსოვნის დღეს მოდიან სანთლებით შენს საფლავზე . მარი მესამე კურსის სტუდენტია- ნატვრა შეგისრულდა. იძინე მშვიდად იქ, სადაც არც ჭირია და არც მწუხარება. გფარავდეს ნათელი უფლისა.

შენი ოჯახი -
ეთერი, მაკა, მარიამი.

ილიკო შარვაძე

უშენოდ მოსულმა გაზაფხულმა, აყვავებულმა ნუშებმა და ტყემლებმა შვება ვერ მომგვარა, გული ვერ გამითბო, პირიქით,მეტად მაგრძნობინა უშენობით გამოწვეული ტკივილი.

ჩემო დიდო ტკივილო, ჩემო დარდო და იარავ, ჩემო საყვარელო შვილო, გილოცავ გაზაფხულის დადგომას და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს.უკვე მეშვიდედ მოვიდა აღდგომა უშენოდ, დიდ ტკივილსა და მონატრებაში გაილია ეს წლები, ჩემო ექვსი წლის უნახავო შვილო.

მეშვიდე გაზაფხული მოვიდა, როგორ ვიფიქრებდი, რომ ამდენხანს უშენოდ ვიცოცხლებდი, ეს ხომ დიდი სატანჯველია ჩემთვის, ჩემო ერთად-ერთო ბიჭო.

ძალიან გიყვარდა გაზაფხული და სიცოცხლე, მაგრამ არ გაცალა ბედისწერამ და შენი სიცოცხლე 38 წლის ასაკში დამთავრდა და შეუერთდა მარადიულ სამყაროს.

შენ ხომ დედის იმედი და მთელი ცხოვრება იყავი, ჩემო ლამაზო, კარგო და მოსიყვარულე შვილო ილიკო, მწარეა უშენოდ არსებობა. შენზე მხოლოდ წარსულის მოგონებები დამრჩა.

შენი წასვლით ჩემი სიცოცხლეც და ცხოვრებაც დამთავრდა, არ ვკვდები, ძველი სიხარულიდან აღარაფერი დამრჩენია, მე უკვე ცოცხალს აღარ ვგავარ, მაგრმ ვაი, რომ ჯერ გარდაცვლილიც არ ვარ.

ერთი რამე კი ნამდვილად ვიცი, რომ ჩემი სიკვდილი არავის სიკვდილს არ ემგვანება, რადგან შენს შემდეგ, ჩემო ერთად-ერთო, აქ აღარაფერი დამრჩენია, რაც დასათმობად დამენანება. მხოლოდ და მხოლოდ შენ იყავი ის, ვისაც შეგეძლო დედის სიყვარულის გულით გაგება.

აუტანელია და გაუსაძლისია უშენოდ ყოფნა, ისმება შენი სადღეგრძელო, როგორც ცოცხლისა, მოსაგონარი სიტყვებით ვერავინ გიხსენებს, რადგან სამაგისოდ არავის ემეტები. შენზე ფიქრი და შენი სახე მუდამ დედის გულში და დედის თვალებშია. დღესაც კარისკენ ვიყურები, გელოდები, როდის შემოხვალ შენი ლამაზი, კეთილი ღიმილით და როდის შემოანათებ დედას მაგ ცისფერ თვალებს. ჩემო ილიკო, მგონია, რომ გაზაფხულთან ერთად შენც მოხვალ და გაუთბობ დედას დატანჯულ გულს. ჩემთვის ბედნიერება და დღესასწაულები აღარ არსებობს უშენოდ, შვილო, მხოლოდ შენი გულისთვის ვცოცხლობ და ვაკეთებ ყველაფერს, რომ შენ მანდ არაფერი არ მოგაკლდეს და ისევ უზრუნველი და ბედნიერი იყო შენს მამასთან, ბებია-პაპებთან, როგორც აქ იყავი. უფალს ვთხოვ, მუდამ ნათელი სხივი ედგას შენს ლამაზ სხეულს და სულს. ჩემო კეთილო, ალალმართალო, მოკრძალებულო ვაჟკაცო, ჩემო ილიკო, ჩემმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში. მე დიდი ვალდებულება მაქვს თქვენს წინაშე, რათა მოვიგონო ჩემი საყვარელი ქმარ -შვილი, ჩემი მშობლები და პატივი მივაგო თქვენს ხსოვნას, ნათელში იყოს თქვენი სულები, მარადიული ხსენება და არდავიწყება. მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რომ, რაც დრო გადის, უფრო გიახლოვდებით, ასეთი ყოფილა ჩვენი ბედი, დამელოდეთ.

შენი მონატრებული დედა:
ნათელა იაკობიშვილი-შარვაძე.

ოთარ ალხანიშვილი

იმ საბედისწერო, 2007 წლის 21 ოქტომბერს, შენი დაბადების დღეს, უფალმა სამოთხის კარი გაგიღო და შენც შენი ფიქრებითა და აუსრულებელი ოცნებებით დაადექი სასუფევლის გზას. რას ვიზამთ, უფლის ნებას ვერავინ შეცვლის. ოთარ, შენ იყავი უაღრესად კეთილი, ნიჭიერი და სიკეთით სავსე პიროვნება. ამ ყველაფერში გგავს ჩვენი ერთადერთი შვილი სოფო, რომელზეც მზე და მთვარე ამოგდიოდა.

ოთარ, შენ დარწმუნებული იყავი შენი შვილის ნიჭში, ასეც არის. ის კავკასიის უნივერსიტეტის ფაკულტეტის სტუდენტია, ამავდროულად არის დედა. ჰყავს ექვსი თვის ნიტა.

შენ ვერც სიმამრობას და ვერც პაპობას ვერ მოესწარი. გული მტკივა, როდესაც მე ჩვენს შვილიშვილს ვეფერები და შენ გვერდით არ გვყავხარ, მაგრამ შენ ყოველთვის ჩვენთან ხარ. ახლაც, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე, მოვალთ შენს საფლავზე, დაგინთებთ სანთლებს და უფალს ვთხოვთ, რომ ჩვენი ლოცვა გზას უნათებდეს შენს სულს.

განისვენე იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

მეუღლე თამილა, **შვილი** სოფო ალხანიშვილები; **სიძე** დინორი და **შვილიშვილი** ნიტა შანშაშვილები.

ლიკა ხატიაშვილი

ისევ მოვიდა გაზაფხული, იღვიძებს ბუნება. მზეს სითბო მოემატა. უშენოდ ვხვდებით აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. შენ გიხაროდა ყველაფერი, მაგრამ არ გაცადა განგებამ. 17 წლის ნახვედი და გაიყოლე შენი ფიქრები და ოცნებები. შენ წახვედი და დარჩა ლამაზი ხსოვნა, დარჩა უდიდესი ტკივილი და მარმარილოს შავი ქვა წარწერით: **ლიკა გიას ასული ხატიაშვილი**.

ჩაქრა ლამპარი, ლიკა, სადა ხარ,
შენი ცხოვრება იყო ზღაპარი,
მზე დაგიბნელდა ამომავალი,
შენმა ბავშვობამ დაკეცა ფრთები
და გაიცრიცა მოსწავლის ჩანთა,
სიკვდილს ბავშვურად ნუ დანებდები,
გელოდებიან შენ სახლის კართან.
საფლავის ქვაზე რა მინდა ,დედა,
რატომ ჩამიტეხდა ცხოვრების ხიდი,
რა შორს გავფრინდი, ვერავის გხედავ,
მხოლოდ ვიცოცხლე 17 წელი,
ნუ გეშინიათ... კი არ დამკარგეთ
აქ ვარ, მიცავენ ანგელოზები.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს სიცოცხლით გაუმაძღარო, ჩემო შვილო.

შენი მშობლები.

ვუძღვნი ჩემს თანაკლასელებს

გასული საუკუნის 60-იან წლებში ჩვენი კლასი გამორჩეული იყო სოფელ გამარჯვების საშუალო სკოლაში. ყოველი კლასის დამთავრებისას 3-4 გამოცდას ვაბარებდით, ბოლოს ერთ-ერთ ოჯახში ვიკრიბებოდით და ვილხენდით. დრო გავიდა, მერე ერთი-მეორის ნიშნობ-ქორწილებში ვეფერებოდით ერთმანეთს. ოჯახზე ზრუნვამ, სამსახურმა დაგვაშორა ერთმანეთს, მაგრამ სიყვარული და მონატრება არ გაგვნელებია.

წლები წლებს მიჰყვებოდა, დრო მიჰქროდა. გარდაიცვალნენ ჩვენი კლასის გოგოები. ჟუჟუნა ფიროსმანაშვილი, მზია არაბული, ჟუჟუნა ღორაშვილი. უგზო-უკვლოდ დაიკარგა ნოშრევან გუგენიშვილი, კეთილი და ხუმარა ბიჭი, კლასის სული და გული. ძალიან დაგვწყვიტა გული გურამ ბენაშვილის უცაბედმა და მოულოდნელმა გარდაცვალებამ. ის იყო ყველა წამოწყების ორგანიზატორი და შემსრულებელი. საქმის ერთგული კაცი, სადაც კი მუშაობდა, ყველგან სიკეთესა და სიყვარულს თესავდა. შემდეგ ზიზო ბიკაშვილი წავიდა. ის კლასში ყველაზე ძლიერი მოსწავლე იყო. წერდა თავისუფალ თემებს, მღეროდა, ცეკვავდა, ფანდურზე შესანიშნავად უკრავდა. მეექვსე კლასში ვიყავით, მოსკოვში, სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დელეგაციაში რომ შეიყვანეს და მოსკოვის სვეტებიან დარბაზში, თავისი განუმეორებელი წკრიალა ხმით „მწყემსური“ შეასრულა ფანდურზე. ჩვენ ვამაყობდით მისით. მან დაამთავრა უნივერსიტეტის ისტორიული ფაკულტეტი და სამუსიკო სასწავლებელი. ახსოვთ მისი მუშაობა სამუსიკო სკოლაში. თავისი ბედი დაუკავშირა თანაკლასელ ტარიელ ფიროსმანაშვილს. საერთოდ კი, სკოლის დამთავრების შემდეგ, ამ კლასიდან სამი ოჯახი შეიქმნა: ზიზო ბიკაშვილი და ტარიელ ფიროსმანაშვილი, ელიზა სულაშვილი და ელიზბარ ღორაშვილი, ნათელა პოპიაშვილი და გურამ ბენაშვილი. ამიტომაც ვმეგობრობდით სიცოცხლის ბოლომდე. ტარიელმა რუსეთში დაამთავრა ავტოსაინჟინრო ინსტიტუტი, წლობით მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე. ზიზო, ოთხი წლის წინ, 3 მაისს გარდაიცვალა. ტარიელი კი გასულ წელს – 14 მაისს. ორივემ ვარდობის თვეში დატოვა ეს ქვეყანა. სიყვარულიც ამას ჰქვია, ვიფიქრე და თითქოს დავნატრე კიდეც...

ზაურ ფიროსმანაშვილი – ჭკვიანი, წყნარი ახალგაზრდა, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა. მან დაამთავრა ტექნიკუმი და მრავალი წელი მუშაობდა ღვინის ქარხანაში. ყოველთვის მეგობრული იყო.

ჯუმბერ სულაშვილი – თბილი გულის პატრონი, კარგი ადამიანი, მას დედ-მამა ადრე გარდაეცვალა და მოსწავლეობის დროიდან ზრუნავდა უმცროს და-ძმაზე. წლობით მუშაობდა სამგზავრო ავტობუსზე და ხალხი ძალიან მადლიერი ჰყავდა. ის მიმდინარე წლის 3 იანვარს გარდაიცვალა.

ელიზბარ ღორაშვილი - სულ ახლახანს, 15 მარტს გარდაიცვალა. მან დაამთავრა აგრო-ეკონომიკური ფაკულტეტი და მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. ყოველთვის პრინციპული და საქმიანი იყო. ახსოვთ მისი სტუმართმოყვარეობა და გულუხვი სუფრა.

ყველა თანაკლასელმა ოჯახი შექმნა. კარგი შვილები და შვილიშვილები დაზარდეს. ყველა მათგანმა ცხოვრების სწორ გზაზე იარა და პატიოსნად იცხოვრა. მათ სახელს დავიწყება არ უწერია, რადგან ღირსეული მემკვიდრეობა დატოვეს.

ეს პატარა წერილი თქვენს ხსოვნას მივუძღვენით, ჩვენო ახალგაზრდობის მეგობრებო და კლასელებო. მსუბუქი იყოს თქვენთვის მშობლიური მიწა.

ნათელა პოპიაშვილი-ბენაშვილი და ელიზა სულაშვილი-ღორაშვილი
სოფელი გამარჯვება

როგორ ხვდებიან აღდგომას სხვადასხვა ქვეყანაში სააღდგომო ტრადიციები მსოფლიოში

აღდგომა ქრისტიანებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დღესასწაულია, რომელსაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულად აღნიშნავენ. განსხვავდება ამ დღესასწაულთან დაკავშირებული ტრადიციებიც.

საქართველოში აღდგომისთვის მზადება ერთი კვირით ადრე იწყება. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეს სხვადასხვა ტრადიცია აქვს, ამ დღესთან დაკავშირებით, მათ აერთიანებთ სააღდგომო სუფრის გაშლის წესი, რომლის აუცილებელი ატრიბუტებია სააღდგომო ნითელი კვერცხები და პასკა. კვერცხს ნითლად ვნების პარასკევს ღებავენ,რაც ქრისტეს მიერ დაღვრილ სისხლს განასახიერებს. რაც შეეხება პასკას, იგი მაცხოვრის აღდგომის რწმენას განასახიერებს. სიმბოლურად იგი გოლგოთას აღნიშნავს, მთას, სადაც ქრისტე ჯვარს აცვეს. მრავალფეროვანი ტრადიციები უკავშირდება აღდგომა მსოფლიოს დანარჩენ ქრისტიანულ ქვეყნებშიც.

საბერძნეთი მართლმადიდებლური ქვეყანაა, ამიტომ აქ დაახლოებით ისეთივე ტრადიციებია, როგორიც საქართველოში. სააღდგომო კვერცხებს ღებავენ და შაბათ საღამომდე ინახავენ. მორწმუნეები აღდგომის წინა საღამოს ტაძარში ლოცვაზე ანთებული თეთრი სანთლებით მიდიან, შუაღამეს სანთლებს ყველა აქრობს. ანთებული სანთლები ქრისტეს აღდგომას განასახიერებს.

ბერძენთა სააღდგომო სუფრა ბუნებაში იმართება. აქ აუცილებლად იხსენება რეცინა ანუ წინა წლის მოსავლის პირველი ღვინო და წვავენ პატარა ბატკნებს. განსაკუთრებულ მხიარულ გარემოს ქმნის ბერძნული სიმღერები და ცეკვა, რომელიც დილამდე გრძელდება. აღდგომა აქ მთელი კვირის განმავლობაში აღინიშნება და ამ პერიოდში ყველა ისვენებს.

საფრანგეთში ხუთშაბათიდან შაბათის ჩათვლით ზარებს არ რეკავენ. სიმბოლურად ეს იესოს წამებისა და სიკვდილის მწუხარების გამოხატულებაა. როგორც კი დაიწყება ზარების რეკვა ერთმანეთს ულოცავენ ქრისტეს აღდგომას, შემდეგ კი ტრადიციულად ერთმანეთს შეღებილ კვერცხებს ჩუქნიან და ერთმანეთს ეჯიბრებიან გატეხვაში. აქ ძირითადად წითელ, ყვითელ და მწვანე ფერებში იღებება კვერცხი. ისინი შოკოლადის კვერცხებსაც ამზადებენ და ბავშვებს უმალავენ საპოვნელად.

იტალიაში აცხობენ სააღდგომო ტორტს, მარილიან ღვეზელს ისპანახითა და მოხარშული კვერცხებით, რომელსაც ეკლესიის გუმბათის ფორმა აქვს. ასევე იტალიურ კულიჩს, პანეტონეს, რომელსაც ქიშმიშითა და ნუშით რთავენ. ისინი ვნების პარასკევს ქუჩაში ჯვრებითა და სანთლებით ხელში აწყობენ მსვლელობას ვატიკანიდან კოლიზეუმამდე და ერთმანეთს გზას უნათებენ.

გერმანიაში თავდაპირველად ძველი გერმანელები ამ დღეს გაზაფხულის ბუნიაობას აღნიშნავდნენ და გაზაფხულისა და ნაყოფიერების ქალღმერთს ადიდებდნენ. მოგვიანებით ეს წარმართული ტრადიცია ქრისტეს აღდგომასთან გაერთიანდა.

ისინი აღდგომის კვირამდე, შაბათს სააღდგომო კოცონს ანთებენ, ეს სიმბოლურად ყველა უარყოფითი ენერგიისა და გრძნობის მოშორებად ითვლება. კვერცხს ადრე სიცოცხლისა და ნაყოფიერების მნიშვნელობა თუ ჰქონდა, ახლა ახალი სიცოცხლისა და ახალი აღთქმის სიმბოლოდ იქცა. აქ კვერცხებს ძირითადად წითლად ღებავენ. გერმანული აღდგომის ტრადიციული პერსონაჟი კურდღელია, რომელიც ძველგერმანულ კულტს უკავშირდება და ხალხური თქმულების მიხედვით, საარდგომო კვერცხები მოაქვს.

პოლონეთში აღდგომის დღესა და ორშაბათს ზეიმობენ. ადგომა დღე ტრადიციული მესით იწყება, ამის შემდეგ კი ყველა ოჯახში სუფრა იშლება, სადაც ოჯახის ყველა წევრი იკრიბება. საუზმეზე ნაკურთხ პასკას, კვერცხებს, მდოგვს, ხორცსა და ძეხვს მიირთმევენ.

აღდგომის მეორე დღეს "სველ ორშაბათს" უწოდებენ, რადგან ამ დღეს პოლონელები ერთმანეთს წყლით წუწავენ.

რუმინეთში დიდი ხუთშაბათიდან დასვენებაა და მზადება იწყება აღდგომის დღესასწაულისთვის. აცხობენ კულიჩებს, ღებავენ კვერცხებს. პასკას ჯვრით რთავენ და ნაწნავის ფორმას აძლევენ. ჯვრის ოთხივე მხარეს ხაჭოს დებენ. ტრადიციის მიხედვით რუმინელები ბატკანსაც წვავენ და დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სააღდგომო სუფრაზე მას.

ინგლისში აღდგომა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღეა, ნამდვილი შოკოლადის დღესასწაული, მხიარული და სახალისო. ტაძრებში მზის ამოსვლისას მიმდინარეობს ღვთისმსახურება. ტარდება ორღანზე შესრულებული კონცერტები.

აღდგომას ყველა ახალი ტანსაცმლის ჩაცმას ცდილობს, ვინაიდან სიმბოლურად ცუდი ამინდის სეზონის დასრულებასა და გაზაფხულის დადგომას აღნიშნავს.

აცხობენ ჯვრის ფორმიან სააღდგომო ფუნთუშებს, ღებავენ კვერცხებს ან ამზადებენ მას შოკოლადისგან. ისინი მართავენ კვერცხის ძებნაში შეჯიბრებებს, რომელშიც ბავშვები მონაწილეობენ.

აშშ-ში აღდგომა დღეს ტრადიციის მიხედვით დაქანებულ გაზონზე აგორებენ კვერცხებს, ბავშვები ერთმანეთს ეჯიბრებიან და ვინც უფრო შორს გააგორებს კვერცხს გამარჯვებულიც ის არის. ბოსტონში აღდგომის მოსვლასთან ერთად დახლებზე მოსე წინასწარმეტყველისა და იესო ქრისტეს მოლაპარაკე თოჯინები ჩნდებიან. ეს იდეა ერთ-ერთ ოჯახურ წყვილს გაუჩნდა, რომლებიც შვილს ბიბლიას ასწავლიდნენ.

ამ დღეს ტრადიციის მიხედვით, პრეზიდენტმა ბავშვებს თეთრ სახლში უნდა უმასპინძლოს და სააღდგომო კვერცხები მისცეს.

ბრაზილიაში ძირითადად კათოლიკე ქრისტიანები ცხოვრობენ. აქ სააღდგომო ტრადიციები რამდენიმე საუკუნის წინ გერმანელებს ჩაუტანიათ. სააღდგომო კურდღელი და ფერადი კვერცხები. ბრაზილიელები ადრე იწყებენ ამ დღესასწაულისთვის მზადებას, მათი სუფრა ძირითადად ტკბილეულისგან შედგება და ერთმანეთს საზეიმოდ ჩუქნიან შოკოლადის კვერცხებს, რომლებშიც სათამაშოებია.

ულოცავენ!

ჯიმი ალუღიშვილს!

ერთ-ერთ გამორჩეულ და ღირსეულ ქართველს, მშრომელს და ერთგულ ადამიანს, გილოცავთ დაბადების 90 წლისთავს. შენი ცხოვრების დიდ გზაზე ისე იარე, უკან მოხედვის არ შეგრცხვება. საუკეთესო სპეციალისტმა დიდი ამაგი დასდე რაიონის მეცხოველეობის განვითარებას. შენი შვილებით და შვილიშვილებით მარტო თქვენი ოჯახი კი არა, რაიონი და სრულად საქართველოც კი ამაყობს. ბედნიერი მეუღლეობა გერგო. თეთრად შეაბერდით ერთმანეთს შენ და ქალბატონი ლალი, რომელიც სულ მუდამ მხარში გედგა. გისურვებთ ჯანმრთელობას და მხნეობას. ბედნიერი იყავ შენს დიდ ოჯახთან ერთად. უფალი გფარავდეთ!

ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის და უახლოესი მეგობრების სახელით: აბრამ ხარაშვილი, ლერი და მარლენ კვაჭანტირაძეები, ვალიკო გოგილაშვილი, ვანო ნატროშვილი, ნანა ჭიჭინაძე, მარინა ხარაშვილი, ნაირა გორაშვილი.

ჩვენო ძვირფასო, ჩვენი ოჯახის ფესვძლიერო ბერმუხავ, გილოცავთ დაბადების საიუბილეო, 90 წლისთავს. შენ შენი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე, ბევრი იშრომე, იღვაწე, საკუთარი მხრებით მოიტანე დღემდე ჩვენი ოჯახი მეუღლესთან ერთად. ყველას ჩვენი წილი სითბო და სიყვარული გვარგუნე და ღირსეულად იცხოვრე. გმადლობთ ყველაფრისთვის, ყველას ძალიან გვიყვარხარ, გეფერებით და გისურვებთ კვლავაც ჯანმრთელობას, მხნეობას და დიდხანს სიცოცხლეს ჩვენს საიმედოდ. უფალი გეწეოდეს!

მეუღლე: ლალი ბოჭორიშვილი,
შვილები: ლია და გია (კორნაპე) ალუღიშვილები,
სიძე: გელა ხუციშვილი **რძალი:** ლალი პოზაშვილი,
შვილიშვილები: მაკა და ირაკლი ხუციშვილები, დეიკო და ანა ალუღიშვილები ოჯახებით
შვილთაშვილები: ვახტანგი (ვატო), იოანე, დემეტრე, იოანე, ლიკუნა, კატო და ნინუკა.

პასექი _ საზოგადოებრივი დღესასწაულია, აღდგომა კი _ ინდივიდუალური

ორივე დღესასწაული მიანიშნებს სასოწარკვეთილებისგან თავის დახსნას — მონობით იქნება ეს გამოწვეული, თუ ცოდვით, მაგრამ ებრაელი ხალხი მიისწრაფის, რომ ამ პროცესში მონაწილეობა მიიღოს როგორც თემმა, აღდგომა კი მარადიული სიცოცხლის შესაძლებლობაზე თითოეულ ადამიანს ცალ-ცალკე მიმართავს.

გარდა ამისა, პასექი ებრაელ ხალხს მოუწოდებს ცხოვრების, უშუალოდ აქ და ახლა გაუმჯობესებისკენ, აღდგომა კი ადამიანს ამქვეყნიური ცხოვრების მიღმა გადარჩენას ჰპირდება.

რატომ არ ემთხვევა მართლმადიდებლური და კათოლიკური აღდგომა

2017 წელს მართლმადიდებლები და კათოლიკები აღდგომას ერთსა და იმავე დღეს ზეიმობდენ — 16 აპრილს — და ეს ყოველთვის ასე როდი ხდება. მეტიც, შემდეგი ასეთი დამთხვევა მხოლოდ 2025 წელს იქნება.

როგორც წესი, მართლმადიდებლები ქრისტეს აღდგომას კათოლიკეებზე გვიან ზეიმობენ ხოლმე. ამის რთული მიზეზები შეიძლება მოკლედ ასე გავაერთიანოთ:

- ერთი მიზეზია — სხვადასხვა კალენდარი;
- მეორე — მართლმადიდებლები ქრისტიანული ეკლესიის უფრო ადრინდელი ტრადიციების მიმდევრები არიან.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა დანარჩენ დღესასწაულს მართლმადიდებლები იმავე დღეებში აღნიშნავენ, როგორც დასავლური ქრისტიანული ეკლესიები. ასეთი გადაწყვეტილება 1923 წელს ძირითადი მართლმადიდებლური კონფესიების წარმომადგენელთა კონსტანტინოპოლში გამართულ შეხვედრაზე მიიღეს. იქ გამოცხადდა, რომ საეკლესიო დღესასწაულების თარიღები განახლებული გეორგიანული კალენდრის მიხედვით უნდა განისაზღვროს.

და მხოლოდ აღდგომის დღესასწაულის თარიღის გამოთვლას აგრძელებს მართლმადიდებელი ეკლესია ისევ იულიუსის უძველესი კალენდრის მიხედვით.

ქირავდება!

სოფელ ხორნაბუჯში, კერძო, კეთილმოწყობილი, გარემონტებული ბინა. ბინა უზრუნველყოფილია ბუნებრივი აირით, წყლით, სველი წერტილებით, დიდი ეზოთი. ქირავდება როგორც სასტუმროდ, ასევე საცხოვრებლად. სახლიდან ულამაზესი ხედი იშლება, რომელიც გადაჰყურებს „არწივის ხეობას“. მის: სოფ.ხორნაბუჯი, ჭავჭავაძის ქუჩა №4. ☎ 555-51-30-46

... როცა ფოტო სიტყვაზე მეტია

იერუსალიმში, ჯვრის მონასტერში, საკუთარი სახელი თუ არ დატოვე, რაა მამული?!



ამინდი

დედოფლისწყარო

ორშაბათი 29.04		სამშაბათი 30.04		ოთხშაბათი 01.05		ხუთშაბათი 02.05		პარასკევი 03.05		შაბათი 04.05		კვირა 05.05	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
16 °	15 °	16 °	13 °	17 °	13 °	19 °	14 °	20 °	15 °	16 °	13 °	16 °	12 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქ.ალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.